საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 21 ოქტომბერი. 2016 წ. №196 (8088), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქურდსა და ბოზს ყველა სხვაც ქურდი და ბოზი ჰგონია!...

ნათქვამი რომ არის, ქურდსა და ბოზს ყველა სხვაც ქურდი და ბოზი ჰგონიაო, სწორედ ისეა ნაპრეზიდენტალ საკაშვილის საქმე. რასაც თვითონ თავის მავნე ხროვასთან ერთად სჩადიოდა, მხედველობაში გვაქვს „უპრეცედენტო მასშტაბის მანიპულაციები და გაყალბება“, ახლა მთელ ამ საარჩევნო თაღლითობას „ქართულ ოცნებას“ აბრალებს, არადა, 2016 წლის არჩევნების სამართლიანობა და დემოკრატიულობა მთელმა დემოკრატიულმა მსოფლიომ (ევროპა, ამერიკა) აღიარა.

ოდესის გუბერნატორი გუშინდელ ვიდეომიმართვაში უსირცხვილოდ ბაქიბუქობს, თითქოს ამ „მანიპულაციებისა და გაყალბების“ მიუხედავად, „რეპრესიებისა და ზეწოლის პირობებში“ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაინც 600 ათასზე მეტი ხმა მიიღო, და დასძენს „საბოლოო ჯამში ჩვენ გავიმარჯვებთო“. რუსი ოლიგარქის მმართველობას დიდი დღე არ უწერიაო, და ქვეყანასა და ხალხის საზიანოდ უსინდისოდ აქეზებს თავის ენად გაკრეფილ ნარჩენებს, ახლა მნიშვნელოვანია ერთიანობა, საბრძოლო განწყობა, არშეპუება ამ აფიორასთან, გაყალბებასთან და ზეწოლასთან და საბოლოო ჯამში ყველაფერი გამოგვიყვაო. აბა, თქვენ იცითო!

ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა დავსაჯოთ აშკარად სახელმწიფოს მოღალატე, თავხედი და პროვოკატორი უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი?!

ერთი სიტყვით, აშკარაა სახელმწიფო ღალატი! აშკარაა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ საბოტაჟი, პროვოკაცია!

ყველა ჭკუათამყოფელი ხვდება, რომ ასე იცის ისედაც თავხედი პოლიტიკოსის კიდევ უფრო გათავხედებამ, როცა არაერთი მოღალატური და ათასი ანტიეროვნული ნაბიჯი ხახვივით შერჩა, როცა მთელი ერთი წელიწადი უკანონოდ აპრეზიდენტეს, როცა უშუალოდ მან ატეხა 2008 წლის ომი და ოკუპანტს აღიარებინა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა.

ასე იცის უკრაინის მოქალაქე მიშიკომ, და კიდევ უარესს იზამს, თუ „ოცნების“ ხელისუფლებამ ნამეტანი იდემოკრატიულა, ნამეტანი ილიბერალა და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისთვის, ბოლოს და ბოლოს, საკადრისი პასუხი არ აგებინა მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს, რომელსაც ოდესის გუბერნატორობა ეპატარავება და ისევ საქართველოს პრეზიდენტობაზე ოცნებობს. ალბათ, ამ ოცნების(?) გამო თუ ინდობს „ოცნება“, ან იქნებ „მოკავშირედაც“ ხედავს, ამ ძალაუფლებისთვის გაგიჟებულ მუხანათ ანტიქართველს.

ვაშინერს! უხსენებელნი!

მირონ ხერგიანი

მორიელების შემოსევა ⑥-⑦

სამეგრელოსა და ზემო სვანეთში

კარგი რა, კაკო, არც გაა.... კო!

②

გია ვოლსკი:

მთავარი სამიზნე გიორგი კვირიკაშვილია – ვითომცდა, ის ძლიერი ლიდერი არ არის!

③

უძველესი საყდრის „ახალი ამბები“

⑤

მზერა მომავლისკენ

ოცნება

გამთელდა, სძლია მთვარემ შიშს,
ღამის აჩრდილი კანკალებს,
ძმათა შუღლს სისხლით
გალეშილს
გულებს ახლოს არ ვაკარებთ.

გავდევნეთ ბნელი დრო მალვის
არ იბილწება მანდილი,
ოცნება ნათელ მომავლის
მალე გახდება ნამდვილი...

ჯანღი ზეცას ვერ დათალხავს,
მზე ამოვიდა, გაბრწყინდა,
დაუძმობილდა მახათას
მგოსნების მექა მთაწმინდა.

მახათას მთაზე ტაძარი,
იმედს გვიბრუნებს ქართველებს,
ამერს და იმერს ხმა ზარის,
ჯეშმარიტ რწმენით ამთელებს.

ნაკადული არ დაშრება,
ჯეჯილი ააბიბინა,
დღეს გამახარეს ბავშვებმა,
გაისმის მათი ეიჟინა.

მამა-ბაბათა ზედაშე
ვერ გადაჯვეგეს ბარდებმა,
ეთამაშება მზე ბავშვებს,
გული მითბება, წუნარდება.

ამერ-იმერო, იხარეთ,
გისურვებთ შვილთა სიმრავლეს,
და საქართველო, მზის მხარე,
ერთად გავხადოთ ბრწყინვალე...

ვნატრობ, ოცნება ასრულდეს,
სული რწმენას არ შორდება,
შვილებს – ვაჟებს და ასულებს,
გზა გავუკაფოთ მშობლებმა.

P.S.

ღმერთო მიეც ნატვრას ბედი,
ქვეყანა მსურს გავამთელოთ,
გადმოვედი ალავერდი,
მიდღეგრძელეთ საქართველო!

იუზა ჩაკვეტაძე

◎ ორმოსა შიგან რაცა დგას...

კარგი რა, კაკო, არც გაა....კო!

გუშინ ტელევიზიით ერთ-ერთი მამალი ნაცის კაკო ბობოხიძის გამოსვლას რომ ვუყურე, ორმოში ჩავარდნილი ტიპი გამახსენდა, რომელიც ყოველი ღონით ცდილობს იქიდან თავის დაღწევას, მაგრამ...

— ერთხელაც ვცდი ამოსვლას და თუ ვერ შევძელი, წავალ სახლშიო, — ისე ჩაილაპარაკებს ბოლოს, თითქოს მის ნება-სურვილზეღა იყოს ყველაფერი დამოკიდებული...

— **სამივე** ნაციონალი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მოვხსნით ჩვენს კანდიდატურებს ქუთაისის საარჩევნო ოლქებიდან, თუ ჩვენი ოცნებელი ოპონენტები მოგვცემენ მტკიცე პირობას, რომ მხარს დაუჭერენ პარლამენტის ქუთაისში დატოვებასო, — ისე ნირშეუცვლელად თქვა კაკიმ, თითქოს მას და დანარჩენ ნაციონალ დეპუტატობის კანდიდატებს განაღდებული ჰქონდეთ მეორე ტურში გამარჯვება და მათთვის გარანტირებულ ხალხის რჩეულის რბილ სავარძლებს მსხვერპლად სწირავდნენ მშობლიურ ქალაქსა თუ მხარეს...

იმდენი დაგიმშვენდეთ ცხვირი შენც და დანარჩენ შენნაირ ნაცებსაც, კაკი, რამდენ სიმართლესაც გუშინ ტელევიზიით უბნობდი!

მშვენივრად იცით, რომ ამთავითვე წაგებული ხართ და, უბრალოდ, ხალხის თვალში პრესტიჟის შესანარჩუნებლად ჩალიჩობთ.

მაგრამ ხალხი რა, მართლაც ბრბო და უსახური მასა ხომ არ გგონიათ, იარაღითა და ცოცხით დაშინებულს კვლავინდებურად საითაც გინდოდათ, იქით რომ აქნევინებდით პირს და არჩევნებისას ძირითადად თქვენს ნებაზე იყენებდით?

ხალხი ყველაფერს კარგად ხედავს და ამჩნევს!

ამიტომაც, ნაცებს ისღა დაგრჩენიათ, თავისი ახალგაზრდა ცოლისა და იმისი თაყვანისმცემელ-საყვარელი ოფიცრების მიერ გაპამპულებული ეროსი მანჯგალაძის გმირივით უჩინმაჩინის ქუდი ინატროთ, დაიხუროთ და, მიგანქარდი, ვერა გვხედავენ, კაცოო, გახარებულებმა იძახოთ!

ამით თავს მოიტყუებთ და გულს დროებით მაინც მოგეშვებათ, თორემ ცოდონი ხართ სერგო რატიანის უკბილო „ხუმარსიტყვაობის“ იმედადღა დარჩენილები, — **პარლამენტი თბილისში მიაქვთ და აქ კობა ნარჩემაშვილს გვიტოვებენო, — რომ „წაიოხუნჯა“** (არა, ბიჭო, „თხუნელა“ მიშას დაგიტოვებთ, რამდენიმე მეტრიღა რომ დარჩა ოდესიდან ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციამდე გამოსაყვანი „ტუნელის“ დამთავრებამდე!).

მოკლედ, ერთობ ღრმა ორმოში ხართ ჩავარდნილები, კაკი, ნაცები!

ოღონდ, ზემოხსენებული ტიპისგან განსხვავებით, **წყლით კი არა, იმით სავსე ორმოში, რაც წყალში არ იძირება!**

ჰოდა, თქვენი ორმოდანაც, კოკასი არ იყოს, მას შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების.

სათაურთან დაკავშირებითაც მინდა ბოდიში მოვუხადო მკითხველს, მაგრამ არც ეს არის მთლად ჩემი ბრალი: „ჩუქჩას“, თუ გინდა მას რამე გააგებინო, ჩუქჩურად უნდა ელაპარაკო თუნდაც იმიტომ, რომ შენი გაღადავების სურვილი დაუკარგო!

ასე რომ, კაკო, არც გაა...კო!

რუსლან რუსია

აბაშიძე-კარასინის კიდევ ერთი შეხვედრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე ქართულ-რუსული არაფორმალური დიალოგის ფარგლებში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს შეხვდა.

მორიგ შეხვედრაზე, რომელიც პრაღაში გაიმართა, ზურაბ აბაშიძემ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებსა და საოკუპაციო ხაზთან შექმნილ რთულ ვითარებაზე გაამახვილა ყურადღება. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული და ჰუმანიტარული საკითხების განხილვის უმთავრეს ფორმატს.

შეხვედრაზე განიხილეს პრაღის ფორმატის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები — სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ჰუმანიტარულ სფეროში ურთიერთქმედების გაღრმავების პერსპექტივები. მიღწეულ იქნა კონკრეტული შეთანხმებები რუსეთის ბაზარზე საქართველოდან ექსპორტის, ასევე სატრანსპორტო გადაზიდვების ზრდის თვალსაზრისით.

აღინიშნა, რომ მხარეები ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის ბიზნესწრეებს შორის საქმიანი კონტაქტების განვითარებას. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ 2016 წლის 9 თვის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა, ასევე მნიშვნელოვნად იმატა საქართველოში რუსი ტურისტების რაოდენობამ.

პოზიტიურად შეფასდა ის გარემოება, რომ უახლოეს პერიოდში, ქართული ფილმების არქივის რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების პროცესი დაიწყება, რის შესახებაც საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მიაწვდის.

შეხვედრაზე ზურაბ აბაშიძემ დაადასტურა, რომ ქართულმა მხარემ დაასრულა მუშაობა 2011 წელს „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებულ დოკუმენტებზე და ამჟამად ქართული მხარე რუსეთის მხარის კონკრეტულ ინფორმაციას ელოდება.

იუსტიციის მინისტრები აქტიურ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პარიზში ფრანგ კოლეგა ჟან ჟაკ ურვუასს შეხვდა. იუსტიციის მინისტრები პარიზში მიმდინარე ნოტარიატის 28-ე საერთაშორისო კონგრესზე იმყოფებოდნენ, რომელიც ფრანგმა მინისტრმა გახსნა. მხარეებმა სამართლის სფეროში საქართველოსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს. ამასთან, საუბარი შეეხო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ბოლო 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან რეფორმებს სხვადასხვა მიმართულებით, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების ევროპიზაციის და ევროპულ სამართლებრივ სისტემასთან დაახლოებისთვის გატარდა.

საქართველოსა და საფრანგეთის იუსტიციის მინისტრებმა ნოტარიატის საქმიანობის შესახებ და ამ კუთხით საქართველოსა და საფრანგეთში არსებულ გამოწვევებსა და პრაქტიკაზეც გაამახვილეს ყურადღება. სამოქალაქო დავებით სასამართლოების გადატვირთულობის თემა ორივე ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემაა, რის გამოც სანოტარო მედიაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თეა წულუკიანმა ფრანგ კოლეგას იმ პრაქტიკის შესახებ უამბო, რომელიც ბოლო წლებში დაინერგა საქართველოში და ნოტარიუსის მეშვეობით შედარებით მარტივი დავების მედიაციის გზით მოგვარებას ითვალისწინებს. ჟან ჟაკ ურვუასი აღნიშნული თემით დაინტერესდა და საქართველოს გამოცდილების გაზიარების სურვილი გამოთქვა.

შეხვედრის დასასრულ, ქართული რეფორმების უკეთ გაცნობის მიზნით თეა წულუკიანმა საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი საქართველოში მოიწვია.

ქართველ მწარმოებლებს შეღავათიანი პირობები დაუწესდათ

საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა კახეთში ადგილობრივ მეწარმეებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრა ლაგოდეხში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გურამ მაჭარაშვილის ინიციატივით ჩატარდა და მას ლაგოდეხელი და ყვარელელი მეწარმეები დაესწრნენ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო კახეთის რეგიონში მეწარმეობის განვითარების კუთხით მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებს.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის განვითარებას. აქცენტი გაკეთდა, რომ იზრდება იმ ბაზრების მოცულობა, სადაც ქართველ მწარმოებლებს შეღავათიანი პირობებით შეუძლიათ პროდუქციის ექსპორტი. მათ შორის, პირველმა ვიცე-პრემიერმა დაასახელა ჩინეთთან წარმატებით დასრულებული მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ასევე ისაუბრა მსოფლიო ბანკის კვლევაზე სიღარიბის მდგომარეობის შესახებ, რომლის თანახმადაც საქართველოში ბოლო წლებში სიღარიბის მაჩვენებლები მცირდება.

როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, ასეთი შეხვედრების ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია, მან ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო პროგრამებს რეგიონში არაერთი ბენეფიციარი ჰყავს. ამასთან, პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, სახელმწიფო პროგრამები ყველასთვის ხელმისაწვდომია და, რა თქმა უნდა, ყველამ უნდა ისარგებლოს იმ სიკეთით, რომელსაც სახელმწიფო მეწარმეებს სთავაზობს.

◎ წკეპლიკა

ნაციონალების ლექსიკით მღაღადებელნო!

ეგრეთ წოდებულო არასამთავრობოებო, ნაციონალების ლექსიკით მღაღადებელნო, რას ნიშნავს თქვენი ნაციონალთა დასაცავი მოწოდებები? აქციები მოგენატრათ? უდანაშაულო ადამიანთა წამების, მათი ცოცხებით გაუპატიურების ხილვა მოგენატრათ?

შეგახსენებთ გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, როგაქიძის, გამცემლიძის, ნავთლუღის ოპერაციაში ახალგაზრდების ჩახოცვას! ისინი ხომ თქვენსავით ახალგაზრდები იყვნენ, თქვენი თანატოლები. თქვენ, ალბათ, ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვა, ბრძოლის ველზე დაჭრილი და დახოცილი მეომრების უპატრონოდ მიტოვება, ომში დამარცხება გამარჯვებად გესახებათ!

სამარცხვინო მოწოდებებით ქვეყანას ძირს უთხრით!

ლონდა მდივანი

გია ვოლსკი:

მთავარი სამიზნე გიორგი კვირიკაშვილია – ვითომცდა, ის ძლიერი ლიდერი არ არის!

მთავარი შეტევა ბიძინა ივანიშვილზე მიმდინარეობს, თუმცა ყველაფერს პასუხი ევროკავშირის ასოცირებული წევრობითა და ვიზა ლიბერალიზაციაზე მიღებული გადაწყვეტილებით გაეცა. ქუთაისში ნახევარი მილიარდის ინვესტიცია კეთდება და უახლოეს მომავალში, ქუთაისი ჰარვარდისა და ოქსფორდის დონის ქალაქად მოგვევლინება. ამ ყველაფერს სათავეში ბიძინა ივანიშვილი უდგას და ამის საპასუხოდ მას არაფორმალურ მმართველობას აბრალებენ.

თუ რას ფიქრობენ მმართველ გუნდში მეორე ტურებზე, ამის თაობაზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი გვესაუბრება:

— სამოქალაქო სექტორი ამომრჩეველს მოუწოდებს, 30 ოქტომბერს, მეორე ტურში არჩევანი ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ გააკეთოს. თქვენი აზრით, რამდენად მართებული მოწოდებაა?

— არასამთავრობო ორგანიზაციებმა აშკარად პოლიტიკური განცხადება გააკეთეს. ისინი არასამთავრობოები არიან თუ არა, ეს მეორე საკითხია. მათ მიერ მოყვანილი არგუმენტები უსაფუძვლოა და უფრო მეტად ბრალდებას ჰგავს, ვიდრე დემოკრატიის გამყარების და განვითარების მცდელობას.

— საუბარია იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება საფრთხის შემცველია. შესაძლო საფრთხეებს თქვენც ამჩნევთ?

— ხელისუფლებას ძალაუფლების უზურპაცია ჩვეულებრივი უმრავლესობითაც შეუძლია და „ქართულ ოცნებას“ „ნაციონალური მოძრაობისგან“ სწორედ ის განასხვავებს, რომ მას ამის სურვილი არა აქვს. სამოქალაქო სექტორი მხარს ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერს და ამ თემით მანიპულირებას ერთადერთი მიზანი აქვს.

— თქვენი ოპონენტები ფიქრობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენების „პოლიტიკური კლასი“ არა აქვს. იმ შემთხვევაში, თუკი, საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებთ, საკუთარი თავის კონტროლს შეძლებთ?

— როგორც კი, ქვეყანას დაუპირისპირდები, ეს შეუქცევად და დესტრუქციულ პროცესებს გამოიწვევს, რაც სახელმწიფოში არასტაბილურობას წარმოშობს. „ოცნებისთვის“ სტაბილურობის თემა პირველ რიგში დგას და მართალი გითხრათ, ამ თემაზე თავის მართლება უხერხულად მიმაჩნია, რადგან შიდა და გარე გამოწვევების მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანაში სტაბილური გარემო შექმნა. ჩვენი ხელისუფლების მთავარი ნიშანი ქვეყნისა და ხალხის წინაშე აღებული პასუხისმგებლობაა. იცით, რომ ევროკავშირის ასოცირებულ ქვეყანას განსაკუთრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა გააჩნია, რაც კონკრეტულ დოკუმენტებშია გაწერილი. სააკაშვილისგან გიორგი კვირიკაშვილი განსხვავდება, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი არგუმენტია.

— ოპონენტების მხრიდან ბრალდებები არჩევნების გაყალბებაზეც ისმის. ყურადღება გაბათილებულ ბიულეტენებზე მახვილდება. არჩევნები საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღიარეს და გაყალბების თაობაზე ოპოზიციის ბრალდებები რას ემსახურება?

— ნებისმიერ პარტიას, მათ შორის სახელისუფლებო ძალას შეიძლება ეჭვი გაუჩნდეს, რომ ბიულეტენი მის საწინააღმდეგოდ არის დაზიანებული, თუმცა დამკვირვებლების რაოდენობითა და კომისიის შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, არ მგონია, ეს საკითხი სერიოზულად უნდა განვიხილოთ. საზოგადოების გარკვეული რაოდენობა არსებობს, რომელმაც მხარი არავის არ დაუჭირა, თუმცა საკუთარი ბიულეტენი გამოიყენა. კონკრეტულ ციფრებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ცესკო მონაცემებს დადგენილ ვადებში გამოაქვეყნებს.

— პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები ყურადღებას იმაზე ამახვილებენ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, თუ რა საფრთხეები შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ საპირისპირო სურათის წარმოდგენა შეგიძლიათ? იმ შემთხვევაში თუკი, საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ მოიპოვებთ, რა პროცესები შეიძლება განვითარდეს?

— საქმე სწორედ ამაშია! პრიმიტიული კითხვა ისმება: პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ გაძლიერება უფრო მეტ საფრთხეს შექმნის თუ იმ პოლიტიკური ძალის საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელმაც ქვეყანა მძლავრ დემოკრატად აქცია, რაც აღიარებულია და საქართველომ განვითარებული დემოკრატების ოჯახში საკუთარი ადგილი დაიკავა? სიტუაციას გადახედეთ, ქვეყანაში ცოცხებსა და ყავარჯნიან კაცებს ადამიანის უფლებების დასათრგუნად როდის იყენებდნენ?! ასევე როდის ხდებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით მანიპულირება, ან ის რომ ხელისუფლება სტრატეგიული შეცდომების ხარჯზე, ოკუპანტის სასარგებლოდ საკუთარ ტერიტორიებს თმობდა?! ამ ყველაფერს თუ გადავხედავთ, ადვილ დასკვნას გავაკეთებთ, რეალურად საშიშ ვინ არის. აღსანიშნავია, რომ მთავარი შეტევა ბიძინა ივანიშვილზე მიმდინარეობს, თუმცა ყველაფერს პასუხი ევროკავშირის ასოცირებული წევრობითა და ვიზალიბერალიზაციაზე მიღებული გადაწყვეტილებით გაეცა. ქუთაისში ნახევარი მილიარდის ინვესტიცია კეთდება და უახლოეს მომავალში, ქუთაისი ჰარვარდისა და ოქსფორდის დონის ქალაქად მოგვევლინება. ამ ყველაფერს სათავეში ბიძინა ივანიშვილი უდგას და ამის საპასუხოდ მას არაფორმალურ მმართველობას აბრალებენ.

პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლის და გუნდის შექმნის იდეა იმას ემყარებოდა, რომ ქვეყანას ინსტიტუტები მართავდნენ და არა — პიროვნებები. ამ ყველაფრის ფონზე ივანიშვილის მიმართ შეტევა მიმდინარეობს, რაც გუნდის მიმართ შეტევას ნიშნავს. მთავარი სამიზნე გიორგი კვირიკაშვილია. ვითომცდა, კვირიკაშვილი ის ლიდერი არ არის, რომელიც სიტუაციას მართავს. მას ლიდერად როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, ასევე ქართველი საზოგადოება აღიარებს. მან ქართველ საზოგადოებაში დიდი სიმპათიები დაიმსახურა და მის სახელს ბევრი პოზიტიური პროცესი უკავშირდება. მის მიმართ ირიბი შეტევა მიდის. პროპაგანდა მიმდინარეობს იმისა, რომ თითქოს, ეს ხალხი და „ოცნება“ საზოგადოებისთვის საშიში იქნებიან, როცა საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებენ. უმრავლესობა გვყავდა და ქვეყნის სასიკეთოდ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი კანონპროექტი მივიღეთ. თუ საკონსტიტუციო უმრავლესობაზეა საუბარი, ხელისუფლება ვალდებულია, ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება საზოგადოებასთან შეათანხმოს. მთავარია, ქვეყნისა და ხალხის მიმართ დამოკიდებულება, რაც „ოცნებას“ „ნაციონალური მოძრაობისგან“ განასხვავებს.

— თქვენ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზე აპელირებთ, თუმცა არჩევნების შემდეგ, დასავლურ პრესაში ითქვა, რომ უმჯობესია, ქართულ პოლიტიკას ივანიშვილი და სააკაშვილი ჩამოშორდნენ...

— ასეთი მოსაზრება მხოლოდ ერთმა გამოცემამ გააჟღერა და ეს დასაშვებია, მაგრამ რეალობა ქართველმა საზოგადოებამ უკეთ იცის. გიორგი კვირიკაშვილი გამორჩეული ლიდერია, რომელსაც არანაირი საჭიროება არ აქვს, რომ გადაწყვეტილებები ვინმემ უკარნახოს. ბიძინა ივანიშვილის მიზანი სწორედ ის იყო, რომ ინსტიტუტები ძლიერი ყოფილიყო. ამის გამოხატულება ის მმართველობაა, რომელიც გიორგი კვირიკაშვილმა ჩამოაყალიბა. ეს ჩვენს საზოგადოებას გაცილებით უკეთ ესმის, ვიდრე რომელიმე დასავლელ ჟურნალისტს.

ესაუბრა
თეონა მანაგაძე

◎ თურქეთი ყოფილ „სამფლოგელოებს“ ეფერება

რა თქვა სინამდვილეში ლაზმა ერდოღანმა ბათუმზე

ბოლო დღეების განმავლობაში ქართულ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ბათუმზე გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიები განაცხადა და ამ კუთხით ამ ძალაძში „რეფერენდუმიც დააანონსა“, სიმართლეს არ შეესაბამება.

საუბარია თურქეთის პრეზიდენტის გამოსვლაზე რიზეს უნივერსიტეტში, სადაც ერდოღანმა განაცხადა შემდეგი:

„თურქეთი ის ქვეყანაა, რომელიც ამჟამად რეგიონში მიმდინარე პროცესებით დაზარალებულ მოსახლეობას გულში იკრავს. ჩვენი ფიზიკური საზღვარი სხვაა და გულის საზღვარი — სხვა. ეს ორი ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ. რა თქმა უნდა, ჩვენ პატივს ვცემთ ფიზიკურ საზღვრებს, მაგრამ გულზე საზღვარს ვერ გავავლებთ. საზღვრის გამვლებსაც ამის უფლებას არ მივცემთ. ზოგიერთი გვეკითხება, რატომ ვართ დაინტერესებული ერაყით, სირიით, საქართველოთი, ყირიმით, მთიანი ყარაბაღით, აზერბაიჯანით, ბალკანეთითა და ჩრდილოეთ აფრიკით. ის ადგილები, რომელთა შესახებაც გვეკითხებიან, სულაც არ არის უცხო. განა შეიძლება, რიზე ბათუმისაგან განვასხვავოთ? ედირნე და სალონიკი ცალ-ცალკე მოვიხსენიოთ? როგორ შეიძლება, ჩვენი ინტერესის მიღმა დარჩეს გაზიანთეფი და ალეპო, მარდინი და ჰასაქა, სიირტი და მოსული? ჰათაიდან მაროკომდე რომ იარო, ყველგან აღმოაჩენთ ჩვენს კვალს (დანატოვარს)“, — განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის ელჩი:

„რა თქმა უნდა, ბათუმი საქართველოა!“

საქართველოში თურქეთის ელჩი ზეკი ლევენთ გუმრუქჩუ აცხადებს, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა საუკეთესოა ყველა დონეზე და მიმართულებით. ამის შესახებ ელჩმა თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებასთან დაკავშირებით, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას აღნიშნა.

გუმრუქჩუ აცხადებს, რომ თურქეთი არა მხოლოდ აღიარებს, არამედ ძლიერად დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

„მადლობას გიხდით, რომ მაძლევთ შესაძლებლობას გავფანტო რაიმე სახის გაუგებრობა. პრეზიდენტის გამოსვლა ასახავს რეგიონის ხალხების ძალიან მჭიდრო ურთიერთობას, ხალხების, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობს. ეს არის ასევე ხაზგასმა სოციალური და კულტურული მსგავსების.

დღეს ჩვენი მთავრობები ძალიან სწორ პოლიტიკას ატარებენ. ბოლო 25 წლის განმავლობაში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა საუკეთესოა ყველა დონეზე და მიმართულებით. ჩვენ არა მხოლოდ ვაღიარებთ, არამედ ძლიერად ვიცავთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს მეზობლებს შორის თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არ არის კითხვები საზღვრებთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა, ბათუმი საქართველოა და რიზე — თურქეთი და ასე იქნება სამომავლოდ. საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს და ამ მიმართულებით კითხვები არ არსებობს“...

უძრავი ქონების ბაზარი

2015 წლის მონაცემებით, უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა Colliers International Georgia-მ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით მოამზადა.

კვლევა სასტუმროების, კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი და სასაწყობო უძრავი ქონებებისა და ქვეყანაში გართობის ინდუსტრიის მიმოხილვას მოიცავს. მან ქვეყნის მასშტაბით ძირითადი ქალაქები (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი) და საქართველოს თითქმის ყველა კურორტი მოიცვა და უძრავი ქონების სექტორში ბევრი საინტერესო ტენდენცია გამოავლინა.

● სასტუმროების სექტორში პოზიტიური ტენდენცია გრძელდება. გაცხადებული სამომავლო პროექტების საფუძველზე მომდევნო სამი წლის განმავლობაში თბილისში პროგნოზირებულია მიწოდების 53%-იანი ზრდა, რაც დედაქალაქში არსებულ სასტუმროს ნომრებს 9112-მდე გაზრდის. ბათუმში აღნიშნული მაჩვენებელი 49%-ით გაიზრდება და 5 983-ს გაუტოლდება. თბილისსა და ბათუმში დაგეგმილი სასტუმროების ჯამური ინვესტიციის მოცულობა 1 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით ბრენდული სასტუმროების მიწოდება მნიშვნელოვნად იზრდება, რაც საქართველოს საერთაშორისო იმიჯსა და ტურისტული პოტენციალის ზრდაზე პოზიტიურად აისახება.

● მიწოდების ზრდასთან ერთად აღსანიშნავია ქვეყანაში შემოსული ვიზიტორებისა და ტურისტთა ნაკადის მატებაც, რომელმაც 2015 წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია (5.9 მილიონი ვიზიტორი და 2.2 მილიონი 24 საათზე მეტი ხნით შემოსული ვიზიტორი). ამ მხრივ 2016 წელს საკმაოდ პოზიტიური ტენდენციაა– პირველი 6 თვის განმავლობაში ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით 13%-ით გაიზარდა, 24 საათზე მეტი ხნით შემოსული ვიზიტორების რაოდენობა კი – 18%-ით.

● კომერციული უძრავი ქონების სექტორში მიწოდება 11%-ით გაიზარდა და 1 230 000 მ2 შეადგინა (თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის ჯამური მაჩვენებელი). ჯამში 2015 წლის მანძილზე 90 307 $მ^2$ კომერციული ფართი გაქირავდა, რაც განპირობებულია როგორც ბაზარზე უკვე არსებული ბრენდების გაფართოებით, ასევე ახალი საერთაშორისო მოთამაშეების შემოსვლით. მიწოდების ზრდის პარალელურად ვაკანტურობის კოეფიციენტი 22%-დან 17%-მდე შემცირდა თბილისში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დედაქალაქში ახლად დამატებული ფართების უდიდესი ნაწილი მალევე დაიტვირთა. ქუთაისსა და ბათუმში საპირისპირო ტენდენციაა – ახალგახსნილი სავაჭრო ცენტრების უდიდესი ნაწილი თავისუფალია, რაც მაღალ ვაკანტურობის კოეფიციენტზე აისახება.

2015 წლის მანძილზე საოფისე უძრავი ქონების სექტორში მიწოდების დონე მხოლოდ 1%-ით გაიზარდა. კვლევამ აჩვენა, რომ თბილისში მაღალი კლასის ბიზნესცენტრებში ვაკანტურობის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია და 7-8%-ის ფარგლებში მერყეობს. აღნიშნული ფაქტის გამო რიგ შემთხვევაში კი ვხედავთ შედარებით დიდი ზომის საოფისე ფართების (500-600 $მ^2$) ნაკლებობას. თბილისის გარდა, ქვეყნის სხვა ძირითად ქალაქებში საოფისე უძრავი ქონების მიწოდება კვლავაც საკმაოდ დაბალია.

● საცხოვრებელი უძრავი ქონების კვლევა თბილისს, ბათუმსა და ქუთაისს მოიცავს. 2015 წლის მდგომარეობით თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, ჯამში 623 დეველოპერული პროექტის მშენებლობა მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტები ჯამურად მოიცავს 47 217 საცხოვრებელ ბინას, რომელიც მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში შეემატება ბაზარს. მიმდინარე მშენებლობებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის თბილისში – 60%, მას მოსდევს ბათუმი – 37%-ით, ქუთაისში კი მიმდინარე მშენებლობების მხოლოდ 3% მოდის. 2015 წლის განმავლობაში თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე ტრანზაქციების რაოდენობა 3%-ით შემცირდა და 18 286 ერთეულს გაუტოლდა. ბათუმში აღნიშნული მაჩვენებელი 6%-ით გაიზარდა – 3 730 ერთეულამდე, ქუთაისში კი თითქმის არ შეცვლილა და 1 687 ერთეულს შეადგენს. თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების საშუალო ფასები 2015 განმავლობაში კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა: მეოთხე კვარტალის მდგომარეობით დედაქალაქში ძველ აშენებულ კორპუსებში საშუალო ფასები 5%-ით არის შემცირებული (560 აშშ დოლარამდე 1 $მ^2$-ზე), ხოლო ახალაშენებულ პროეტებში – 10%-ით (596 აშშ დოლარამდე 1 $მ^2$-ზე).

● სასაწყობე უძრავი ქონების მიმოხილვამ აჩვენა, რომ 2015 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მიწოდებას მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ქვეყნის ოთხ ძირითად ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი) არსებული ჯამური მიწოდებიდან (1.8 მილიონი $მ^2$) 65% მფლობელების მიერ არის დაკავებული, დანარჩენი ფართები კი, გაქირავებადია. თბილისზე მოდის ჯამური მიწოდების 53%, რასაც მოსდევს ბათუმი, ქუთაისი

და ფოთი, შესაბამისად 22%-ით, 13%-ით და 12%-ით. ჯამური მიწოდების 88% მშრალ საწყობებს უჭირავთ, 12% კი – მაცივრებს. სასაწყობე უძრავი ქონების მოთხოვნის ყველაზე დიდი წილი (41%) საკვებისა და სასმელის ინდუსტრიაზე მოდის.

2015 წლის უძრავი ქონების ბაზრის კვლევაში ასევე მოხვდა ქვეყნის მასშტაბით გართობის ინდუსტრიის მიმოხილვაც, რომელიც მოიცავდა არაერთ სექტორსა თუ ქვესექტორს: გართობა (სამორინეები, კინოთეატრები, პარკები), დასვენება (გატრონომია და ღვინო, ჯანსაღი ცხოვრება, აქტიური დასვენება), კულტურა (მუზეუმები, თეატრები, სტადიონები, არენები, საკონცერტო დარბაზები). აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველოში შემოსული არარეზიდენტი ვიზიტორებიდან 64% დასვენება რეკრეაციის მიზნით სტუმრობდა ქვეყანას, რაც ხაზს უსვამს გართობის ინდუსტრიის მნიშვნელობას. აქვე ხაზგასასმელია სხვადასხვა სამთავრობო ინიციატივები აზარტული თამაშების, კინოინდუსტრიის, სპორტის, საკურორტო ზონებისა და შიდა ტურიზმის განვითარების კუთხით, რაც ასევე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გართობის ინდუსტრიის განვითარებას.

Colliers International-ის ექსპერტების გუნდის მიერ მომზადებულმა კვლევამ ჯამში 21 ქალაქი მოიცვა. შედგა 2 000 ინტერვიუ, 3 ძირითად ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი) გაიმართა კომერციული ქუჩების, ხოლო ქვეყნის მასშტაბით 800 ობიექტის ადგილზე ვიზიტი. მომზადდა 1 800 იჯარისა და 24 000 ტრანზაქციის ანალიზი. მკვლევარებმა ასევე 12 ევროპული შესადარისი ქალაქის 1 500-მდე მონაცემის შეგროვება-ანალიზიც ჩაატარეს.

Colliers International-მა საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის კვლევა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით უკვე მეორედ მოამზადა. Colliers International-ის ქართველი და ბრიტანელი ექსპერტებით დაკომპლექტებულმა გუნდმა აქამდე 2014 წლის უძრავი ქონების ბაზრის ტენდენციებიც გააანალიზეს.

ავთანდილ იმედაძე,
„კომერსანტი“.

როგორ ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობას გაეროს განვითარების პროგრამა

„საქართველო სოფლის მეურნეობის დარგში ტრადიციულ ლიდერს წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდში უზარმაზარი კომუნისტურ ქვეყნის ტერიტორიაზე კარგად იცნობდნენ ქართულ ღვინოს, ციტრუსებს, ჩაის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. დღეს კი საქართველოს ძალიან ბევრი პროდუქტით საკუთარი თავის უზრუნველყოფა იმპორტის მეშვეობით უხდება. არადა, ამჟამად ქვეყნის მოსახლეობის 40% კვლავ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, შემოსავლები კი მცირეა. სწორედ ამიტომ გაერომ და ევროკავშირმა საქართველოს სოფლის მეურნეების დარგის აღორძინება განიზრახეს, რომელიც ქართველი ფერმერების დახმარებაში გამოიხატება“, – ნათქვამია გაეროს რადიოსადგურის (ნიუ-იორკი) მიერ გადაცემულ ვრცელ რეპორტაჟში (ავტორი – ნარგის შეკინსკი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ რადიოსიუჟეტის რეზიუმეს:

„რაც უფრო მაღლა, მთებისკენ მიდიხარ, ჰაერი მით უფრო სუფთაა, ირგვლივ უღრანი ტყეები და ყინულივით ცივი და ბროლივით გამჭვირვალე წყაროებია: საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის – აჭარის ბუნება თავისი სილამაზით გამაოცებელია. მაგრამ მხოლოდ ბუნების სილამაზე სიტუაციას ვერ ცვლის: აქაური სოფლებიდან ახალგაზრდობა მიდის, რადგან არ არსებობს ინფრასტრუქტურა, ხშირად ითიშება გაზი და ელექტროენერგია, არ არის ინტერნეტი, მობილური კავშირი კი ძვირად ღირებულია“, – ხაზგასმულია მასალაში.

გაეროს რადიოს კორესპონდენტი ესაუბრება ადგილობრივ მცხოვრებს ნაზი ბერიძეს, რომლის ოჯახიც კალმახის მოშენებით არის დაკავებული. თავის დროზე ოჯახის უფროსი რუსეთში იყო წასული სამუშაოდ, თანხა დააგროვა, ჩამოვიდა და მცირე მეურნეობას მიჰყო ხელი. კალმახის მოშენებამ თანდათანობით მოგება მოიტანა. შემდეგ მამის საქმე შვილმა გააგრძელა: **„ჩვენს მხარეში ბუნება ხელს უწყობს კალმახის მოშენებას. თევზი სწრაფად იზრდება. ყველაფერი ნატურალურია, არანაირ ქიმიურ დანამატებს არ ვიყენებთ“,** – ამბობს გენო ბერიძე, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამაშია ჩართული. მიღებული თანხით მან სატვირთო ავტომანქანა და დიდი სამაცივრო აგრეგატი შეიძინა. თუ ადრე მას პროდუქციის 255 მომხმარებლამდე ვერ მიჰქონდა, ახლა დანაკარგები თითქმის ნულამდეა შემცირებული.

საქართველოში გაეროსა და ევროკავშირის განვითარების პროგრამის წყალობით სამი წლის განმავლობაში 77 აგრარული კოოპერატივი ჩამოყალიბდა, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის წარმოებამ 50%-ით მოიმატა, ფერმერთა მოგება კი 60%-ით გაიზარდა. **„ზოგი წარმატებას სწრაფად აღწევს, ზოგს კი მეტი შრომა ჭირდება. უხერხულია, როცა ჩვენ საქმე გამოგვდის, ირგვლივ კი ადამიანები წარმატებას ვერ აღწევენ. რითაც შეგვიძლია, მათ ვეხმარებით ხოლმე. როცა მეზობელი კარგად არის, ჩვენთვისაც სასიამოვნოა“,** – ამბობს ნაზი ბერიძე.

ბერიძეების თევზსაშენი ისეთ ადგილზე მდებარეობს, რომელსაც სტიქია არ ემუქრება. მეზობელ სოფელში, მაგალითად, ერთ-ერთი ფერმერის მეურნეობა ღვარცოფმა გაანადგურა. **„თუ ჩვენ ისე წაგვივა საქმე, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, ჩემს შვილს საქმე გაუადვილდება, მეტ ტექნიკას შევიძენთ და ხელით მძიმე შრომა აღარ მოგვიხდება“,** - ოპტიმისტურად საუბრობს ნაზი ბერიძე..

რეპორტაჟის დასასრულ ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ გაეროსა და ევროკავშირის პროგრამა ქართველ გლეხებსა და ფერმერებს წარმოების გაფართოებასა და მეტი პროდუქციის მიღებაში დაეხმარება.

გემმა ფოთის ნავსადგური დააბინძურა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, შავი ზღვის დაცვის სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, გემის მიერ ფოთის ნავსადგურის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს. ბულგარეთის დროშით მცურავმა გემმა შავ ზღვაში სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩაღვარა.

სამართალდამრღვევი გემის კაპიტანს დაეკისრა ჯარიმა 65 000 ლარის ოდენობით და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ბულგარეთის დროშით მცურავი გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემდეგ დატოვებს.

◎ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

უძველესი საყდრის „ახალი ამბები“

ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის იშხანის მიმდებარედ ტაძრის გარშემო ზედმეტი მიწის ფენის მოხსნის შემდგომ დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოების ზოგიერთი შედეგი.

„ახალი აღმოჩენები იშხანში“ – ასე დაასათაურა თავისი მოხსენება ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა **ბუბა კუდავამ** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე წაკითხული მოხსენება, რომელსაც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **როინ მეტრეველი** უძღვებოდა.

– 2013 წელს თურქეთის მხარემ ტაძრის რესტავრაცია დაიწყო. ინტერიერისა და ტაძრის გარშემო ზედმეტი მიწის ფენის მოხსნამ არქეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების აუცილებლობა წარმოშვა, – აღნიშნა პროფესორმა ბუბა კუდავამ. – მართალია, კომპლექსის გათხრები სრული მასშტაბით არ წარმართულა და, სამწუხაროდ, ზოგჯერ არც მთლად ხარისხიანად იწარმოებოდა, მაგრამ გამოვლენილი ფენები ტაძრის, მხარისა და, ზოგადად, შუა საუკუნეების ქართული კულტურის ისტორიისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

იშხნის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილ სიახლეებს შორის მკვლევართათვის განსაკუთრებულ ინტერესს საკათედრო ტაძრის ახლად გამოვლენილი და გაწმენდილი იატაკი, ეკლესიის დასავლეთ მხარეს ორი ტაძრის, აგრეთვე სამხრეთით და დასავლეთით ეგვტერების აღმოჩენა წარმოადგენს.

მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდნენ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი **გიორგი კვესიტაძე,** პროფესორები **გურამ გრიგოლია** და **მარიამ დიდებულიძე,** კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი **გიორგი გაგოშიძე.**

* * *

იმავე დღეს, 19 ოქტომბერს, ასევე მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სააქტო დარბაზის ფოიეში გაიმართა უაღრესად საგულისხმო წიგნის „ქართული ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ წარდგინება. მისი ავტორი, ზოგადი ენათმეცნიერების ჩინებული სპეციალისტი ბაძარ გიგინეიშვილი 1997 წელს გარდაიცვალა და ამ უმნიშვნელოვანესი კვლევის დასრულება აღარ დასცალდა, ამიტომაც მისი დასტამბვა თითქმის 20 წლის მანძილზე ვერ ხერხდებოდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ „ქართული ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ ისევეა გამოცემული, როგორც ავტორმა დატოვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, უნიკალურ გამოცემას წარმოადგენს არა მოცულობის მხრივ (მასში დაახლოებით 400 გვერდია), არამედ, უწინარესად, თავისი კვლევითი ხასიათის გამო. „ქართული ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ სიტყვასიტყვით მიყვება კიდევ ერთ უაღრესად საგულისხმო გამოცემას – ცნობილ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“ და მასში სიტყვათა წარმოშობის ისტორია, ეტიმოლოგია, ზოგიერთი სხვა ასპექტია მიმოხილული.

აქვე საგანგებოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უაღრესად საინტერესო და არა მარტო სპეციალისტებისთვის, არამედ, ზოგადად, ქართული ენათმეცნიერებით, უბრალოდ, ქვეყნის ისტორით, ენითა და მრავალი სხვა მხარით დაინტერესებული ყველა პირისთვის ეს დიდად საგულისხმო ნაშრომი გასაოცრად მწირი ტირაჟით (სულ 200 ეგზემპლარის ოდენობით!) დაისტამბა და, თამამად შეიძლება ითქვას, უკვე რარიტეტად იქცა.

* * *

20 ოქტომბერს კი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში უაღრესად საინტერესო ლექცია თემაზე **„გაერთიანებული სამეფოს – დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მიზეზები“ ლონდონში მოღვაწე ჩვენმა ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა თამარ დრაგაძემ წარმოადგინა.**

საგულისხმო ინფორმაციის მოწოდებისა და თანამედროვე ევროპისთვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის ორიგინალური თვალთახედვის წარმოჩენისთვის, დამსწრეთა სახელით ქალბატონ თ. დრაგაძეს მადლობა გადაუხადა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა.

ოთარ ტურაბელიძე

გზა საფარისკენ

საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა საფარის მონასტერთან მისასვლელი განახლებული გზა მოინახულა. აღსანიშნავია, რომ 7.2 კმ სიგრძის საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელზეც ასფალტის საფარი საერთოდ არ არსებობდა, დროზე 5 თვით ადრე დასრულდა. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით (3 349 000 ლარი), საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.**

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი საფარის მონასტერი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალციხიდან დაახლოებით 10 კილომეტრში მდებარეობს. სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამდე მონასტერთან გრუნტის გზა მიდიოდა. წვიმიან ამინდში გზა იმდენად ტალახდებოდა, რომ ძეგლთან მისვლა, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით შეუძლებელი ხდებოდა.

პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო მონაკვეთზე დაიგო 2-ფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყო ბეტონის პარაპეტები და ლითონის თვალამრიდები, ჩატარდა გზის მონიშვნის სამუშაოები. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მონასტერთან მისვლა გაუმარტივდება როგორც მრევლსა და სამონასტრო კომპლექსში მცხოვრებ ბერებს, ასევე, ტურისტებს.

ახალი სკვერი გლდანში

კიდევ **ერთი ახალი სკვერი ეწყობა გლდანის რაიონში. გლდანის მე-2 მ/რ-ის 38-ე კორპუსის მიმდებარედ, სამუშაოების ფარგლებში, დაიგება დეკორატიული ფილები, მოეწყობა ბეტონის ბორდიურები და ლითონის დეკორატიული ღობე; სკვერში დამონტაჟდება გარე განათების 29 დეკორატიული ბოძი, დაიდგმება სკამები და სანაგვე ურნები. გარდა ამისა, სკვერში პატარებისთვის საბავშვო ატრაქციონები და სავარჯიშო მოედანი მოეწყობა.**

სამუშაოებისთვის, გლდანის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან, 144 000 ლარია გამოყოფილი.

2016 წლის მონაცემებით, გლდანის რაიონის მასშტაბით, 10 ახალი სკვერი მოეწყო, რაზეც 466 377 ლარი დაიხარჯა.

„მსოფლიო სურსათის დღე“

საქართველოს **სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) საქართველოს წარმომადგენლობის ორგანიზებით, „მსოფლიო სურსათის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ძირითადი თემა კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან სოფლის მეურნეობის ადაპტირების მნიშვნელობა იყო. აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2016 წელი პარკოსანი კულტურების საერთაშორისო წლად ოფიციალურად გამოაცხადა. შესაბამისად, ღონისძიებაზე FAO -ს მიერ რეკომენდებული პარკოსანი კულტურების წარმოების ხელშეწყობის მნიშვნელობის საკითხებიც განიხილეს.**

ღონისძიება სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და FAO-ს წარმომადგენელმა საქართველოში მამუკა მესხმა გახსნეს.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა 21-ე საუკუნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. მსოფლიოს ყველა განვითარებული სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართულია კლიმატის ცვლილებებზე ადაპტირებული პოლიტიკის შემუშავებასა და ეფექტიანი პროგრამების განხორციელებაზე.

თბილისში მოდის კვირეული გაიხსნა

რიგით **მე-14 სეზონი ნინო რამიშვილის არასასცენო სამოსის გამოფენით გაიხსნა. უმრავლესობა გასული საუკუნის 60-იან წლებშია შექმნილი. თბილისის საკრებულოს დარბაზში პერფორმანსი „სუხიშვილების“ მონაწილეობით გაიმართა.**

ამის შემდეგ სტუმრებმა აბაკელიას ქუჩაზე გადაინაცვლეს, სადაც ღია ცის ქვეშ „ჩუბიკას“ კოლექცია იხილეს. თბილისის მოდის კვირეული ხუთი დღის განმავლობაში გაგრძელდება და 23 ოქტომბერს ოფიციალურად დასრულდება.

დასაწყისში მცირე ამონარიდი კონსტანტინე გამსახურდიას ნოველიდან „ტაბუ“: **„... ტუჩებზე ხელი მომაფარა: — ვაშინერს, მახა, ვაშინერს“... — ვაშინერს რაღაა, ნატი? — შენ მეგრული დაგვიწყებია, მახა... როგორ აგიხსნა? უსმენებელი. უთქმელი... — აა, ამას ტაბუ ჰქვია, ნატი. — ტაბუ რაღაა? — ტაბუ იგივეა, რაც ვაშინერს: უთქმელი, უსმენებელი...“**

ახლა, მთავარი სათქმელი:

გაგონილი გექნებათ, ამერიკაში ელექტროსკამზე დაამთავრა სიცოცხლე „ჯეკი მფატრავმა“ — სერიულმა მკვლელმა და მანიაკმა... მეტყვიან, ზემოთ მოხმობილ იმ მშვენიერ დიალოგთან ეს ყოველივე რა კავშირშიაო? რაში და... ქართველები უარყოფითში ტოლს არავის ვუდებთ, ის კი არა, სხვას კიდევაც უნდა გადავაჭარბოთ ხოლმე. აგერ, წინა დღეს „ასავალ-დასავალში“ სათაურით „მფატრავები“ უკრაინის სინამდვილიდან იმისთანა შემზარავი ამბები ამოვიკითხე, თმები რომ მქონოდა, ყალყზე დამიდგებოდა. მთელი უბედურება კი ისაა, რომ ყოველივე იქ მოთხრობილი უშუალო კავშირშია საქართველოსთან... თუმცა, ალბათ აჯობებს, გაზეთიდან მცირე ამონარიდებს გავეცნოთ და ყველაფერი ცხადი გახდება:

სააკაშვილს უთქვამს: „ჩემი ცოლი სანდრა ახლა უფრო მეტ ქველმოქმედებას ეწევა საქართველოში, ვიდრე ჩემი პრეზიდენტობის დროსო“.

ამას მოჰყვება დიქტორის კომენტარი (იგულისხმება სატელევიზიო გადაცემა): „საქართველოს ყოფილი პირველი ლედის „საქველმოქმედო“ საქმიანობის წყალობით, 2004-2013 წლამდე ეს ქვეყანა წამყვან ადგილს იკავებდა უცხოეთში ორგანოების გაყიდვით. მან კოსოვოსაც კი გაუსწრო“.

ამის შემდეგ უკვე უშიშროების სამსახურის ყოფილი მაიორი ყვება, რომ ომის დროს პროფესიონალ ტრანსპლანტატოლოგ ელიზაბეტ დებრიუსთან მუდმივი სატელეფონო კავშირი ჰქონდა ორგანოებზე რეალურ შემკვეთს და ორგანიზატორს — სანდრა რულოვსს...

დიახ, საქართველოში მოყუჩებული ყოფილი პირველი ლედის ქმრისგან ნაქებ „უფრო მეტ ქველმოქმედებად“, ალბათ, ეს საზარელი საქმიანობა უნდა მივიჩნიოთ!.. იქვე ირკვევა, რომ ის თურმე უშუალოდაც მონაწილეობდა დაჭრილი მეომრების სპეციალურ სამედიცინო ცენტრებში გადაყვანაში, საიდანაც ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. მძიმედ დაჭრილებიდან არათუ შინაგან ორგანოებს, თვალებს და კანსაც კი იღებდნენო...

ამის წამკითხველს, მოდი და ნუ დაგიდგება თმები ყალყზე!..

აქვე მოვუსმინოთ გადაცემის წამყვან ალექსეი გოდოშნიკოვსაც:

„სანდრა რულოვსს დიდი გამოცდილება აქვს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს წამყვანი ადგილი ეკავა ევროპისა და ამერიკისათვის ორგანოების მიწოდების საქმეში. სააკაშვილის მეუღლემ შექმნა პენიტენციალური სისტემიდან ორგანოების მიღების საკმაოდ ხელსაყრელი სქემა. პატიმრები ციხის საავადმყოფოებში ხვდებოდნენ, სადაც მათ ორგანობს აცლიდნენ...“

მგონი, ყველაფერი ცხადზე-ცხადი, დღესავით ნათელია და „ჯეკი მფატრავიც“ ტყუილად არ მიხსენებია: აგერ, ბატონო, მისი მდედრობითი ვარიანტი საქართველოში პირმშვენიერი „ლედი მფატრავის“ სახით!.. თუმცა, ის ვიღაც ჯეკი აქაურთან რას მოვა? ის ურჩხული, რატომღაც, მხოლოდ მეძავებზე ნადირობდა, დაუცველ ფენაზე (ეგეთი დილიხორი ჰქონდა!) და, რაც მთავარია, ამით ბიზნესი არ უკეთებია. ამ ქალბატონის სამიზნე საქართველოში პატიმრები და უკრაინაში მეომრები აღმოჩნდნენ, თავისი ვაჟიშვილის ასაკის ჯან-ღონით სავსე, მაგრამ იმ მეძავებზე ბევრად დაუცველი და სრულიად უმწეო დაჭრილი ბიჭები. მთავარი კი ისაა, რომ ცივსისხლიან ქალბატონს ეს საქმიანობა შემოსავლის უზღვავ წყაროდ უქცევია და ამ ძვირფასი, დეფიციტური პროდუქტით ევროპასთან ერთად, ამერიკაც უმარაგებია.

ყოველივე ამის შემდეგ, უკვე აღარ მიკვირს სენატორ მაკკეინის მიერ „მარშალპრესის“ ფურცლებიდან ივანიშვილის მთავრობისადმი მუქარით შემონათვალი: „...როცა საქმე გვაქვს პრეზიდენტთან (იგულისხმება სააკაშვილი. **მ. ხ.**), რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის არამარტო საქართველოს, არამედ ამერიკის განვითარებაში... ის რიგითი მოქალაქისგან განსხვავებით პრივილეგირებულია და რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა, მისთვის ბრალის წაყენება ყოვლად დაუშვებელია... მოგიწოდებთ გონიერებისკენ, რადგან თითოეული გადადგმული ნაბიჯი ბუმერანგის პრინციპით მოუბრუნდება თითოეულ ქართველს.“ საოცარია და ამას იმ ქვეყნის მძიმეწონიანი პოლიტიკოსი ამბობს, სადაც პრეზიდენტს იმის მეათასედსაც არ აპატიებდნენ, რაც სოციოპათმა სააკაშვილმა საქართველოში ჩაიდინა, მაგრამ, აი, თურმე რაში ყოფილა საქმე: ხელს ხელი დაუბანია!..

ასე რომ ჩემო კარგებო, ქართველებმა სააკაშვილს არათუ ბუზი არ უნდა ავუფრინოთ, „ამერიკის განმავითარებელ“ დიდ მიშას ფინანდაზები უნდა დავუფინოთ და „შენ ჩამოსვლას თან მზე მოჰყვაც“ ვუმღეროთ. აი, ასეთი მფარველების წაქეზებითაა, რომ სააკაშვილი იონჯას მიტანებული დაბმული ვირივით ჯიქურ იწევს საქართველოსკენ.

მორიელეობის შემოსევა სამეგრელოსა და ზემო სვანეთში

„მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“.
ხალხური.

მე ისიც მახსოვს, ქალბატონმა რულოვსმა დანიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თავისი ქმარი სიძლიერით სტალინ-ბერიას რომ შეადარა, ქართველები გაგვლანძღა და ნიშნისმოგებით თქვა: „დიახ, ჩემი ქმარი ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს უნდა ეშინოდესო!“ მეუღლით ახლაც „ბუასავით“ გვაშინებს და საპასუხოდ მეც უნებურად ენაზე მადგება უწმინდურის განდევნა-დაშინების ძველი სვანური შელოცვა:

„შაშილაად, ფუფულაად, ცხეკი ჰეერია,
ცხეკთაადე! ვეილშ ჰემა ხი — ველთაადე!
ფუი, ვიჯი გეზალ, ხოლა ზნეში,
კინკი პატრონ —
ხითურ, ხიდან ნიშგვეი ხანქა...
ჯანდაბათევ შუკ ჯარენა!“

ქართულად ეს, დაახლოებით, ასე ჟღერს: „საშიშო, უწმინდურო, ალქაჯო ფუფალავ, შორს ჩვენგან, ბილწო და მაცდურო! გაქრი, გაუჩინარდი! თუ ტყიური ხარ, ტყეში დაიკარგე; თუ ველისა ხარ, ველში განქარდი! ფუი, გვეღლის წიწილო, ბინძური ზნისა და საშოს პატრონო, შორს, გაეცალე აქაურობას, ჯანდაბამდეც გზა გქონია! “

ამ ჯადო სიტყვებმა ისევ სულმნათ კონსტანტინე გამსახურდიასთან დამაბრუნა და ასოციაციურად კვლავ მეგრული წიაღიდან ამოზრდილ მის საოცარ სამყაროში აღმოვჩნდი...

დიდი მწერალი მისანია, მისნური ალღოთი განჭვრეტს და ზოგჯერ სიმბოლო-მინიშნებებით გვამცნობს მომავალში მოსახდენსაც. „დიდი და პატარა ისე იყო დაშინებული, რომ ყველას პირზე ეკერა მორიელიო“ — გვეუბნება და ნათქვამი იმდენად ზუსტად ემთხვევა სამეგრელოში შექმნილ ამჟამინდელ ვითარებას, რომ სიტყვათჩანაცვლების საჭიროებაც აღარაა.

დიახ, როგორც ქალაბიჭა, აკუმი ხვარამზე დაეხეთქებოდა ნათურქალის უსიერ სანახებში, ეს ქალბატონიც ისე დაძრწის მთელ სამეგრელოში; ტყეთა უღრანებში მარადიულ ექოდ დავანებული, გაუპატიურებული ბიჭების განწირული ღრიალი მეგრული „დიდოუ ნანას“ სიტკბოებით ჩაესმის და იმ ჟღალჩოხიანის მაცდური ხმითა თუ ღიმილით, ამომრჩევლებს კვლავ ეშმას ბადეში ახვევს...

რა მიმნდობი, მიამიტი ხალხი ვართ ქართველები!.. „ქმარი ცუდია და ცოლი კარგიო“ — იქ უკვე ბევრისგან გაიგონებთ და ვაშინერისგან მონუსხულებივით ივიწყებენ, რომ მგელი მგლობას არასდროს მოიშლის და სისასტიკე მომავალშიც ამ ცოლქმრული წყვილის „საფირმო ნიშანი“ იქნება.

გავიხსენოთ სხვაც: „ტაბუში“ ჟღალჩოხიანი სატანის და ჰერმაფროდიტი ხვარამზეს სექსუალური შერწყმის შედეგად იშვა მორიელი, რომელმაც სოფელ ნაჭყვედის მოსახლეობას მუსრი გაავლო. ესეც დიდი მწერლისგან საგანგაშო, სიმბოლური მინიშნებაა თანამედროვეთათვის: აკი ქოც-ნაცების კოჰაბიტაციური შერწყმითაც იშვა გარეწარი ნაბიჭვარი, დაუსჯელობით წახალისებული და თავგასული!..

ვეთანხმები გოგა ხაინდრავას „ჰეროკრატიის“ შემფასებელთა ერთ ნაწილს: ჩვენ ეს ფილმი „ლაივში“ გვაქვს ნანახი, მასში ასახული საშინელებაც ქართველმა ერმა საკუთარ ტყავზე გამოსცადა; მაგრამ ფილმის ყურებისას სხვა რაღაცაც ხდება: ხალხის რისხვა ძალაუნებურად მიმართულებას იცვლის, ქვეყნის ფარგლებს სცილდება, სხვა ადრესატისკენ, იმ გარეშე ძალისკენ მიემართება, „ქართულ ოცნებას“ ამგვარ კრიმინალურ რეჟიმთან კოჰაბიტაციური ჩახუტება რომ აიძულა და დღესაც ყველაფერს აკეთებს სააკაშვილის უკან მოსაბრუნებლად. ყოველივე ამის შემდეგ, რატომ უკვირთ გამწარებული ხალხის ყველაზე უწყინარი ქმედება: — საელჩოებთან ფიტულების დაწვა?

სასწაულია და „ლედი მფატრავი“ თურმე ხალხის რჩეულად უნდა დაგვისკუპდეს პარლამენტში!.. და რა ვიფიქროთ, მისი პირველი საკანონმდებლო ინიციატივა რა იქნება? — სწორედაც ტრანსპლანტაციის სრული ლეგალიზაცია, რის შემდეგ ხელ-ფეხი საბოლოოდ გაეხსნება, პასუხიც არაფერზე მოეთხოვება და მერე ნახეთ მისეული ბიზნესის ფრთების გაშლა: ტრანსპლანტაციაში გაწაფული მისიონერები, ისედაც დემოგრაფიულად განადგურებულ და მომაკვდავი ერების „შავ სიაში“ შეყვანილ ქართველებს, დიდ-პატარიანად ორგანოებად დანაწევრებულებს ნაწილ-ნაწილ გაგვიტანენ ქვეყნიდან. აი, ამგვარ აპოკალიფსურ მომავალს გვიმზადებენ ნაცისტი სექტანტები, იგივე „ჟღალჩოხიანი ვაშინერის“ ნაშიერები!..

აქ ერთი მეტად მარტივი კითხვა ისმის: ქნი რულოვსი საარჩევნო სიის თავშია მოქცეული, პარლამენტში ისედაც მოხვდება და მაჟორიტარობა რაში სჭირდებოდა? ანდა, რატომ აირჩიეს ნაცებმა პლაცდარმად მაინცდამაინც სამეგრელო, სადაც ამ ქალბატონის მეუღლემ სისხლის გუბეები დააყენა და ენითაუწერელი ბოროტება ჩაიდინა? მკვლელი მკვლელობის ადგილს უბრუნდებაო, უთქვამთ, მაგრამ ნუთუ მიზეზი მხოლოდ ესაა? პასუხიც ასევე მარტივი, თუმცა, შინაარსით მეტად მძიმეა: ამ ქალის მოქმედებაში ბევრად შორსმიმავალი, მტრის გულის გასახარელი მიზანი იკვეთება, რაც სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივების მცდელობასა და ამ ძირძველი ქართული რეგიონის დედასამშობლოდან გაუცხოების, მოწყვეტის მეტად საშიშ ტენდენციაში გამოიხატება. ნუთუ რულოვსის ადგილობრივი მხარდამჭერები ამ საფრთხეს ვერ აცნობიერებენ? ნუთუ ვერ გრძნობენ, ამით ისინი არა მხოლოდ საქვეყნო ინტერესებს აყენებენ ზიანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისტორიულად სამეგრელოზე მიბმულ და ამჟამად მასთან ადმინისტრაციულ ერთეულად შერწყმულ ზემო სვანეთს, მის მოსახლეობასაც შეურაცხყოფენ და აქედან გამომდინარე, რულოვსისათვის მიძღვნილი ტაში და ოვაციები, ჩვენი კუთხისთვისაც უმწარესი სილის გაწვნის ტოლფასია? სვანები ამ ყოველივეს გამძაფრებული ტკივილით აღიქვამენ; მათ არასოდეს დაავიწყდებათ ის სიმწარე, რაც რულოვსის მანიაკმა ქმარმა ამ ამაყ კუთხეს აგემა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ სვანებმა მის დაკრულზე არ იცეკვეს. დინჯი, აწონ-დაწონილი გუმანი ამ ხალხს მუდმივად ერთიანი საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე დგომას კარნახობდა და არა რომელიმე თავქარიანი ხელისუფალის ჭკუაზე სიარულს. ამას ნაციფიურერი როგორ მოინელებდა და შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხის მიმართ გამოჩენილი მისი სისასტიკე სწორედ რომ ეგზეკუციის ტოლფასი იყო. რუსის სადამსჯელო „ატრიადმა“ თუ სოფელი ხალდე არტილერიით და ლაღუმებით მიწასთან გაასწორა, თავის მხრივ სააკაშვილის ხელისბიჭმა, — გიორგი ბარამიძემ უკვე შვეულმფრენების „ატრიადით“ დაბომბა სოფელი ეცერი და ცეცხლმოდებულ სახლზე ხელებმიფიცხებულმა, ცინიკურად კუბდარიც კი მოითხოვა, — სადაა სხვაობა? აქვე გავიხსენოთ ნაცბანდისგან ნაწამები დათო ცინდელიანის ტრაგიკული აღსასრულიც, მიშას ჯალათებმა ლოდშებმული რომ ჩაახრჩვეს შავ ზღვაში და კიდევ რამდენ ვინმეს მოუსწრაფეს სიცოცხლე!.. ქალი პატიმარი სვანეთის ისტორიას არ ახსოვს და ეს შეურაცხყოფაც აკადრეს, დიდებული ქალბატონი — ნანუჩი ნავერიანი განსხვავებული შეხედულებების გამო, საპატიმროში გამოამწყვდიეს. ასევე, პირსისხლიანი შაჰ-აბასის ქართველი მძევლების მსგავსად, ნორა კვიციანიც ფაქტობრივად ძმის ნაცვლად, წლობით აყურყუტეს ციხეში.

ბოლო დროს რულოვსის მომხრეებისგან აქა-იქ უკმაყოფილო წამოძახილებიც გვესმის: „ოცნების“ ხელისუფლებას სამეგრელო მიგდებული ჰყავდაო!“ მაშინ ისიც თქვან, რომელი რეგიონი ჰყავდა პრივილეგირებული და სამეგრელოსთან შედარებით ოაზისად ნაქცევი? დალხინებული დღეს არავინაა, ავდგეთ და ხელისუფლების ჯიბრით, ყველამ სული ეშმაკს მივყიდოთ? სეპარატიზმის გამღვივებელი

რატომ აირჩიეს ნაცებმა პლაცდარმად მაინცდამაინც, სამეგრელო, სადაც ამ ქალბატონის მეუღლემ სისხლის გუბეები დააყენა და ენითაუწერელი ბოროტება ჩაიდინა? მკვლელი მკვლელობის ადგილს უბრუნდებაო, უთქვამთ, მაგრამ ნუთუ მიზეზი მხოლოდ ესაა? პასუხიც ასევე მარტივი, თუმცა, შინაარსით მეტად მძიმეა: ამ ქალის მოქმედებაში ბევრად შორსმიმავალი, მტრის გულის გასახარელი მიზანი იკვეთება, რაც სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივების მცდელობასა და ამ ძირძველი ქართული რეგიონის დედასამშობლოდან გაუცხოების, მოწყვეტის მეტად საშიშ ტენდენციაში გამოიხატება. ნუთუ რულოვსის ადგილობრივი მხარდამჭერები ამ საფრთხეს ვერ აცნობიერებენ? ნუთუ ვერ გრძნობენ, ამით ისინი არა მხოლოდ საქვეყნო ინტერესებს აყენებენ ზიანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისტორიულად სამეგრელოზე მიბმულ და ამჟამად მასთან ადმინისტრაციულ ერთეულად შერწყმულ ზემო სვანეთს, მის მოსახლეობასაც შეურაცხყოფენ და აქედან გამომდინარე, რულოვსისათვის მიძღვნილი ტაში და ოვაციები, ჩვენი კუთხისთვისაც უმწარესი სილის გაწვნის ტოლფასია?

ვითარც ნაპირზე გამორიყული თევზები...

პოლიტიკიდან არაკეთილმოსურნეთა განდევნის შანსს ხელიდან ნუ გავუშვებთ!

მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლამ სანუკვარი დამოუკიდებლობა მოგვაპოვებინა, მაგრამ ამ უნიკალურ მოვლენას თან მოჰყვა ქაოსი და განუკითხაობა, რამაც საქართველოში პოლიტიკურ სარბიელზე არაადეკვატური ელემენტების გამოსვლა გამოიწვია. რასაკვირველია, შეიძლება დასახელდეს და კატეგორიებად დაიყოს ხსენებული, ასე ვთქვათ, უარყოფითი ელემენტები, მაგრამ არ მსურს ამით ვინმე გავანაწყენო, ვინაიდან უახლეს დღეებში ჰაერივით საჭიროა საქართველოს ყველა მოქალაქის გაერთიანება, რათა საბოლოოდ ამოიძირკვოს სააკაშვილის რეჟიმი და პოლიტიკური სარბიელიდან განიდევნონ ის პარტიები, რომლებიც ამომრჩევლებს მოუწოდებენ, მეორე ტურში „ოცნების“ კანდიდატებისთვის ხმის არმიცემისკენ.

ერთობ გაგრძელდა ზემოხსენებული არაადეკვატური ელემენტების პარპაში. ამან განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო 2003 წლიდან 2012 წლამდე, როდესაც ხდებოდა ქართული მიწების, სტრატეგიული ობიექტების მასობრივი გასხვისება, ეროვნული ინტერესების უგულებელყოფა, ბიზნესის დაყაჩაღება, ხელისუფლების მხრიდან ქართველი ხალხის გადაგვარების მცდელობა, ადამინის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, წამება. მოკლედ, ეგრეთ წოდებულმა ნაციონალებმა ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანეს.

მაშინდელმა ოპოზიციამ ქვეყანა ვერ იხსნა ურჩხულთა კლანჭებიდან, სანამ ბატონმა ბიძინამ თავისი სიცოცხლე სასწორზე არ დადო და მთელი საკუთარი შესაძლებლობით უშიშრად არ შეება ქვეყნის ამ გამყიდველებს.

ცხარედ კამათობენ იმაზე, თუ რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ ის, რაც წარმატებით დაადგირგვინა ერთმა ადამიანმა. ამ მეტად რთულ კითხვას მოულოდნელად უპასუხა ახლახან ჩატარებულმა არჩევნებმა. თურმე ნუღარ იკითხავთ, ეს ოპოზიცია (ბურჯანაძე, უსუფაშვილი, ბერძენიშვილი, შარტავა, მიროტაძე, ნათელაშვილი, ხუხაშვილი და სხვანი და სხვანი), თავად ყოფილა ნაცი. როგორც იტყვიან, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს და რა გასაკვირია, რომ ნაცმა ნაცის ტყავი არ დახია! უკანასკნელ ხანს, როცა ნაცების განკითხვის ჟამი დადგა, ვეტერანმა ნაცებმა, ისეთებმა, როგორებიც არიან: ბურჯანაძე, უსუფაშვილი, ძმები ბერძენიშვილები და მათი დამქაშები დახმარების ხელი გაუწოდეს უბადრუკ, აწ უკვე პოლიტიკურ სანაგვეზე გადაყრილ ნაცებს.

ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ თითქოს ზემოხსენებული ინდივიდები ნაცებს ირიბად მხარს უჭერენ, როცა აცხადებენ, მეორე ტურში ხმა არ მისცენ „ოცნების“ კანდიდატებს. ამგვარი მხარდაჭერა პირდაპირია და არა ირიბი. ირიბი მაშინ იქნებოდა, მეორე ტურში სხვა პარტიებიც რომ ღებულობდნენ მონაწილეობას. ირიბად ნაცებს მხარს უჭერენ ეგრეთ წოდებული ფორუმელები, ანუ ბაქია ნაცარქექიები, რომლებიც ყველა პარტიას გაერთიანებისკენ მოუწოდებენ, სწორედ ამგვარი მოწოდებაა ირიბული, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის გადამრჩენის — „ოცნების“ მოღვაწეობაში ხელშეშლას. როგორ უნდა დახასიათდნენ ზემოხსენებული ინდივიდები?

რასაკვირველია, უნდა გამოირიცხოს ბილწსიტყვაობა, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, რათა თავად თუ არა აქვთ უნარი საკუთარი არსის შეცნობისა, ჩვენ უნდა წავეხმაროთ... რომ არიან პოლიტიკის უმეცარნი, საერთოდ არ აქვთ ინტელექტუალური ადამიანის მახასიათებლები — ეს აშკარაა. მათ უხეში პოლიტიკური შეცდომა კი არ მოუვიდათ, არამედ უზნეობის უმაღლესი ხარისხი გამოამჟღავნეს. მოკლედ რომ ვთქვათ, მათში ჯერ კიდევ არ დაწყებულა გაადამიანურობის პროცესი და ასეთი ინდივიდები პარლამენტში შესვლას ლამობდნენ. არ დაიღუპებოდა ქვეყანა?!

ცხოველსაც კი აქვს მადლიერების გრძნობა, დამახსოვრების უნარი. სამწუხაროდ, ამ ადამიანის ფორმის არსებებს (მხედველობაში მყვანან ზემოთ ხსენებული ვაიპოლიტიკოსები) ეს მახასიათებელიც არა აქვთ.

რომ იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ისეა ქართველების საქმე. თუ აქამდე ქვეყანას ნაცების სახით ერთი შინაური არაკეთილმოსურნე ჰყავდა, ამ არჩევნებმა მეორეც გამოამჟღავნა — არასაპარლამენტო პარტიების უმრავლესობა. სასიხარულო არის ის, რომ ორივენი ნაპირზე გამორიყულ თევზებსა ჰგვანან, რომლებიც პოლიტიკური ცხოველმყოფელობის წამებს ითვლიან. მაგრამ გულხელდაკრეფილნი არც საქართველოს მოქალაქეები უნდა ვიყოთ. საჭიროა მეორე ტურში სახლში არავინ დარჩეს და ხმა მივცეთ ,,ოცნების“ კანდიდატებს. ამით მეტად მნიშვნელოვან, მაგრამ ადვილად შესასრულებელ ამოცანას გადავწყვეტთ და გულდამშვიდებით შევუდგებით სხვა პრობლემების გადაჭრის საქმეს.

ზოგი ვაიქსპერტი შეფარულად მხარს უჭერს ნაცებს და აცხადებს: თუ „ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს, დემოკრატია დაზარალდებაო. არც დემოკრატია დაზარალდება და ქვეყანაც დიდად მოიგებს. აბა, ის იყო კარგი, როცა ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტი ნაცების დაშოშმინებაში უამრავ დროს რომ ხარჯავდა და რიგი საკითხები განუხილველი რჩებოდა? ქუთაისში მიმოსვლა რა ჯდებოდა, ამაზე არაფერს ვამბობ. ნაცების ხელშეშლის გამო კონსტიტუციაში მრავალი მუხლი გაუმართავი დარჩა. ყველაფერ ამას ,,ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის პირობებში თავი დაედგმება. ჭკვიანი, ქვეყნისთვის მოამაგე ადამიანების მმართველობის პირობებში საკონსტიტუციო უმრავლესობა საწინდარია წინსვლისა და წარმატებისა, ხოლო არაკეთილმოსურნეთა და უჭკუოთა მმართველობის დროს, როგორც ეს იყო სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, უარყოფით მოვლენად მიიჩნევა.

ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც არის აღსანიშნავი. საერთოდ, ომიანობის პირობებში არჩევნები არ ტარდება. სახელმწიფოს ერთპიროვნულად მართავს მთავრობა. დღეს საქართველოს 20 პროცენტი ოკუპირებულია, დამნაშავე რეჟიმის ნარჩენები ხელისუფლებაში დაბრუნებას ცდილობენ, მას მომხრეებად აწ უკვე ამოუდგნენ ცალკეული არასაპარლამენტო პარტიები. ყველა დაგვეთანხმება, რომ ასეთ პირობებში ჰაერივით საჭიროა, პარლამენტი წარმოდგენილი იქნეს საკონსტიტუციო უმრავლესობით, რათა ქვეყნის წინაშე მდგარი საკითხები დროულად და სწორად გადაწყდეს.

„ოცნებამ“ ნაცების ანტისახელმწიფოებრივი გამოხდომების პირობებშიც კი ქვეყანა სწორი მიმართულებით წაიყვანა და ეს იმედს იძლევა, როდესაც ხსენებულ არაკეთილმოსურნეებს პარლამენტში გავლენა ძლიერ შემცირებული ექნებათ, პარლამენტის საქმიანობა უფრო წარმატებული გახდეს.

გიხაროდენ, საქართველოს მოქალაქენო, ვინაიდან ქვეყნის ბედნიერი მომავალი თქვენს ხელშია და მდგომარეობს მეორე ტურში არჩევნებში უკლებლივ ყველას მისვლაში და „ოცნების“ ხმის მიცემაში!

გივი ჯაბუა,
რუსთავიდან

მიშისტ-რულოვსისტები მეზობლებს აღარაფერს გვეკითხებიან? ბლოკადაში გვაქცევენ, თუ რაშია საქმე? დედასამშობლოდან მოწყვეტილი სვანები (ღმერთმა არ ქნას!) მერე რა გზას დავადგეთ: კოშკებში გამოვიკეტოთ თუ „ცხეკი დავივით“ („ტყის კაცივით“) თავი გამოქვაბულებში ვდურთოთ? განა არ იციან, რომ მეზობელი სამეგრელოს ავ-კარგი მეტად მგრძნობიარედ და მთელი სისავსით აისახება სვანეთის სინამდვილეზე?

ჩვენთვის ეს კუთხე — „ზანი“ ოდითგანვე შვების მომგვრელი და შეუცვლელი ნავსაყუდელი იყო. მიუვალ მთათა გრეხილებთ მკაცრად შემოსაზღვრული მოსახლეობისათვის სამეგრელო საოცნებო ოაზისს, ზღაპრულ სამყაროს და ქვეყნიერების ჭიშკარს წარმოადგენდა. გოროზი მთები თუ მგზავრებს თოვლით ჩაჩუმქრულ გზებს გვიხერგავდნენ, მეგრული ოდა-სახლები ჩვენთვის მუდამ ღია იყო; თბილი კერა და ზრდილი მასპინძლის ყურადღება არ გვაკლდებოდა. სვანი სამონაგროდაც საზანოს ეშურებოდა. გაგონილი გექნებათ: „სვანები ვართ ჩამოსული ბარადა, ყამირების სახნავ-საბარავადა!.“ ზამთრის თვეებიდანვე დაიძვრებოდნენ და იქიდან მოყოლებული, სამეგრელოს მიწა სვანი კაცის ოფლით ირწყვებოდა. მათ ფეხქვეშ იზილებოდა კოლხეთის ჭაობები, ზღვისპირეთის ნესტიანი მიწები, საგულდაგულოდ გაპირულ ცელებს მწარე ხშრიალი გაუდიოდა ღალიან ველებზე. ჩვენებურები ყველაფერს თავისი უღალატო, ნაჯაფი მარჯვენის კვალს ამჩევდნენ და შრომის საზღაურთან, არც მასპინძლების გულის სითბო აკლდებოდათ. ორ კუთხეს შორის ეს ურთიერთსასარგებლო, კეთილმეზობლური ურთიერთობები ოდითგანვე თანაცხოვრების სიმბიოზურ მოდელს აყალიბებდა.

მახსოვს, ოჯახში ბოლო დრომდე რელიკვიასავით გვქონდა შემორჩენილი თორმეტვედროიანი არყის სახდელი სპილენძის ქვაბი, რომელიც მამაჩემმა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე უკვე ხანდაზმულმა კაცმა, შრომის საზღაურად, დაუჯერებელია და ენგურის ხეობის საცალფეხო გზა-წავარნებით ქვალონიდან ზიდა. მამა, თავადაც ცნობილი შემსრულებელი, მეგრული სიმღერების ტრფიალი იყო და საოცარი სითბოთი იხსენებდა ხოლმე იქაურ სტუმართმოყვარეობასაც.

ამ კუთხის შვილებიდან მეც უამრავი სიკეთე მაქვს გულში ჩარჩენილი. უპირველესად კი დიდებული პიროვნება, მეცნიერი და მამულიშვილი, ბატონი ილია ვეკუა მახსენდება, იმჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ვინც ჩემი თხოვნა გულთან მიიტანა და მისაღებ გამოცდებზე უპატრონობით დაჩაგრული უმცროსი სახლიკაცი ფაკულტეტზე აღადგინა.

ასევე, სასიამოვნოდ მახსენდება მშვენიერი წიგნის „ზღვა, რომელიც შორიას“ ავტორთან, ჩინებულ მამულიშვილთან ბ-ნ გურამ ოდიშარიასთან შეხვედრაც. ბატონმა გურამმა ჩემი წიგნის „კლდის ვეფხვის“ ინგლისურად თარგმანში დახმარების ხელი გამომიწოდა. მადლობის სათქმელად მისული, კაბინეტიდან ხელკავით გამომაცილა და გაღიმებულმა მოულოდნელად სრულიად უაქცენტო სვანურით მითხრა: „ჩუ დამ ჯიხა, მირონ, ნაი — შვანარ ი ზანარ ჯვინალნეშ ლახვბა ლიშდ“ (შენც იცი, მირონ, ჩვენ — სვანები და ზანები ძველთაგან ძმები რომ ვართო“) და იქვე დაუმატა: სოხუმელი ქართველები „კლდის ვეფხვს“ ერთმანეთს ხელიდან ხელში გადავცემდითო — მადლს მარილიც მოაყარა: თუ თანახმა იქნები, წიგნს საზღვარგარეთ გამოგიცემთო და ფრთაშესხმული გამომიშვა... გულს მომეფონა და სიმართლე გითხრათ, ამჟამინდელი საზოგადოებრივი გაუცხოების ფონზე, მსგავსი ადამიანური სითბო კიდევაც გამიკვირდა. უიღბლობა ნახე!.. ოდიშარიას ამ კეთილ შემოთავაზებას აღსრულება არ ეწერა: გულნატკენს მალე მოუხდა თანამდებობის დატოვება... რა საწყენია, რომ ასეთ უანგარო, გულითად ადამიანებს ხელისუფლებაში ვერ აფასებენ და გამომშრალი, ცივი რობოტებით ანაცვლებენ!..

უდიდესი სიყვარული მაკავშირებს სტუდენტობის დროინდელ მეგრელ მეგობრებთან. სამწუხაროდ, მათ რიგებს რამდენიმე უკვე გამოაკლდა, მათ შორის ჯუმბერ თითმერიაც, — შესანიშნავი მოქალაქე, ლიტერატორი და მთარგმნელი; ასევე მეტად ნიჭიერი ჟურნალისტი გივი ბერაიაც... იმ ბიჭებს ჩემთვის ლუკმასთან ერთად, გულის სითბოც არაერგზის გაუყვიათ. ასეთები მთელი ღაშქარია: თამაზ, ზაურ, დევი ფიფიები (გენეტიკური კოდით სვანი ფილფანები), მართლაც გამორჩეული, ჭეშმარიტი ვაჟკაცები, ქვეყნის სიყვარულში ტოლს რომ არავის დაუდებენ. ბართაიები, მანიები, ხარჩილავები, თოდუები, ჯგუბურიები, ჯახიები — კაცურკაცობის, მამულიშვილობის ეტალონები, მეციხოვნეებად რომ დგანან და არ დაუშვებენ ქვეყნის მთლიანობის საზიანო სულ მცირე ბზარის გაჩენასაც კი.

ისტორიულად შედუღაბებულ მეგრულ-სვანურ ტრადიციულ ერთობასაც ერთი ფსიქოპათის და მისი ამფსონების ახირებები, ცხადია, დიდად ვერაფერს დააკლებს, ვერ გააუცხოებს, მაგრამ გულსატკენ, უსიამოვნო მომენტებს უცილობლად გააჩენს...

მე კი კვლავ ბრძენი წინაპრების სამყაროს დავუბრუნდები, დიდი კონსტანტინეს აჩრდილს გამოვიხმობ და წერილს ქადაგად დავარდნილი გახუ ხარბედიასეული, ავსულთა განდევნის მაგიური ფორმულებით დავამთავრებ. საოცარია და ლამის საუკუნის წინათ შექმნილი მხატვრული რეალობა, მართლაც როგორ თანხმიერდება თუნდაც ქალბატონი რულოვსის ამჟამინდელ მეგრულ „ოდისეასთან!..“ ვინ იცის, ეს საკრალური შელოცვაც მწერლისგან ზოგადად ქართველი ერისთვის, უფრო ნიშნეულად კი ჩემი სამეზობლოს, თბილი და ლამაზი სამეგრელოს მოსახლეობისთვის სიმბოლო-მინიშნებებით გაცხადებული სამოქმედო გზავნილიც კი იყოს:

„...მოგცემ ცეცხლსა რვალისასა, გაგაქარვებ თვალსა წამისასა...

წყლისა ხარ? ხმელეთისა ხარ? წყლიდან ამონაყოლი ხარ? რა ხარ? რა სულიერი ხარ? ხიდან ჩამოსული ხარ? ხმელეთზე გაჩენილი ხარ? რა სულიერი ხარ? ... ხიდან ჩამოვარდნილი ხარ? ფურცლიდან ანაყოლი ხარ? რა ხარ? რა სულიერი ხარ? ჩაგაგდებ ცეცხლსა რვალისასა. გაგაქარვებ თვალსა წამისასა. დაგჭრი ალითა, მალითა, სუჯუნის ხელბოძალითა. ჩაგაგდებ ცეცხლსა რვალისასა. გაგაქარვებ თვალსა წამისასა. შენ გეპყრას და შენ გებაროს. შენ გეპყრას და შენ გეკავოს, მრისხანე ბატონო სუჯუნისაო“

ამ შელოცვას ერის ერთობლივი „ამინ!“ დააგვირგვინებდა...

მირონ ხერგიანი.

„ᲡᲐᲒᲘᲣᲔᲗᲘ–2“

ᲔᲠᲗ- ᲔᲠᲗᲘ **რუსეთული ტელეარხის გადაცემა „Дом-2“ წლების მანძილზე ყველა ენამოსწრებული კაცის საღადაო თემა კია, მაგრამ ახლახან ერთ-ერთ საიტზე გავრცელებულმა სკანდალურმა ამბავმა, რომელიც მის ფსიქოლოგ მიხეილ კოზლოვს ეხება, როგორც ჩანს, ყველაფერს „გადაუჯოკრა“.**

მას მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთის პოლიციის განყოფილებაში შოუს მონაწილე ერთ-ერთმა წყვილმა იმის გამო უჩივლა, რომ თავის ლექციებზე ლაპარაკის გამო იგი „დამნაშავეს“ 1000 რუბლით აჯარიმებდა. ხოლო თუ რომელიმე ქალიშვილი ფულის გადახდაზე უარს აცხადებდა, ფსიქოლოგი მას... მკერდის გაშიშვლებას სთხოვდა.

კიდევ „პედაგოგი“ „მოსწავლეებს“ სხვადასხვა „დავალებებს“ აძლევდა, მათ შორის ზოგს მეძავივით ან ჰომოსექსუალისტივით, ან მაწანწალასავით ჩაცმას და ასე მეტროთი მგზავრობას, სხვებს პოლიკლინიკაში მისვლასა და... ანუსის გათეთრების მოთხოვნას აიძულებდა. ზოგსაც ფეხბურთის მატჩის დროს, ვთქვათ, „სპარტაკის“ გულშემატკივართათვის განკუთვნილ სექტორში დაჯდომასა და „დინამოს“ ქომაგობას ავალებდა...

„მე და ჩემი ცოლი ამ დავალებებს ვასრულებდით (**?!! – რედ.**), მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მოთმინების ფიალა აგვევსო, ყველაფერი მივატოვეთ(!) და წამოვედით“, – წერენ თავის საჩივარში „დაზარალებულები“.

მაგრამ, საქმე ისაა, რომ არც ეს ყოფილა აშკარად გონებადაფერდებული, ზღვარგადასული თავხედი „ფსიქოლოგის“ ფანტაზიის კიდე: ცოლ-ქმრის განცხადებით, კოზლოვი – „სრული თავისუფლების აღსაქმელად“ – მათ ჯგუფურ სექსსაც სთავაზობდა, ამის გარდა მოსკოვის ყველაზე ძვირ რესტორნებში ორგაზმის იმიტირებასა და დედიშობილა ცეკვას აიძულებდა.

კომენტარი, რომ იტყვიან, სრულიად ზედმეტია...

ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲛᲐ მეცნიერებმა მანჩესტერის უნივერსიტეტიდან დაადასტურეს, რომ აერობიკა შიზროფრენიით დაავადებულთა მდგომარეობას აუმჯობესებს.

მათ ათი დამოუკიდებელი კლინიკური კვლევის შედეგებს მოუყარეს თავი, რომლებშიც, მთლიანად, 385 შიზოფრენიით დაავადებული პირი მონაწილეობდა. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ როცა მედიკამენტებით სტანდარტულ თერაპიას აერობიკაში ვარჯიშის 12-კვირიანი ციკლი ემატება, პაციენტები თავს გაცილებით უკეთ გრძნობენ.

გაირკვა, რომ, რაც უფრო მეტ დროს უთმობდნენ ადამიანები ფიზიკურ ვარჯიშს, მით უფრო უკეთ უმუშავებდათ აზროვნების პროცესებზე პასუხისმგებელი თავის ტვინის უბანი.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ „ᲤᲘᲪᲘ“

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ **მაღალანაზღაურებადი ათი პროფესიის ჩამონათვალში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ცხრა... სამედიცინო სპეციალობა აღმოჩნდა!**

ყველაზე დიდ გასამრჯელოს მათ შორის **ანესთეზიოლოგები** იღებენ, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი 258 ათასი დოლარია, რაც დაახლოებით ხუთჯერ მეტია, ვიდრე საშუალო ამერიკელის ხელფასი.

შემდეგ მოდიან **ქირურგები,** რომელთა წლიური საშუალო შემოსავალი 247 ათასი დოლარია, **გინეკოლოგები** და **სტომატოლოგები,** რომელთა ხელფასი 220 ათასზე ოდნავ მეტია.

ხოლო რაც შეეხება სამამულო პროფესიებს და, მით უმეტეს, ექიმთა ყოველწლიურ გასამრჯელოს, ამაზე საუბარი, ცოტა არ იყოს, დღესდღეობით, სხვა თუ არაფერი, უხერხულია...

...ᲓᲔ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ!

ᲙᲐᲨᲙᲐᲨᲐ **შუქი ლიბიდოს (ანუ სექსუალურ ლტოლვას) ზრდის, დაადგინეს იტალიელმა სპეციალისტებმა.**

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ მამაკაცების სისხლში, რომლებიც მანათობელი პანელებით გაწყობილ ოთახებში ცხოვრობდნენ, ტესტოსტერონის დონე მატულობდა წლის დროებისდა მიუხედავად.

ასეთ ბინაში ცხოვრების შემდეგ მამაკაცები თავიანთ სექსუალურ ცხოვრებას უწინდელზე სამჯერ უფრო დადებითად ახასიათებდნენ.

ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲡ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ, ᲑᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲝ!

ᲙᲔᲛᲑᲠᲘᲯᲘᲡ **უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომლებმაც 16 ათასი მამაკაცი გამოიკვლიეს, აღმოაჩინეს, რომ ისინი, ვინც ქრონიკულად ფორიაქობით იყვნენ შეპყრობილები, კიბოსგან ორჯერ უფრო ხშირად კვდებოდნენ.**

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სტრესი ასუსტებს ერთიანად ორგანიზმსა და განსაკუთრებით იმუნურ სისტემას. ეს, ვთქვათ, ასე კია, მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ ქალთა მიმართ (რომლებიც მამაკაცებზე გაცილებით მეტს ფორიაქობენ და ნერვიულობენ), ეს პრინციპი, რატომღაც, არ მუშაობს.

ᲩᲕᲔᲜᲘ „ᲐᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ

ᲐᲮᲚᲝ **მომავალში მედიკოსები დეპრესიას... სისხლის ანალიზის მეშვეობით დაადგენენ.**

დეპრესიის დიაგნოზს ექიმები ამჟამად პაციენტის ჩივილებითა და გარეგნობით ადგენენ. ერთ-ერთი ამერიკული კლინიკის ექიმებმა იმის გარკვევა შეძლეს, რომ სნეულებასა და პაციენტის სისხლის ცხრა მარკერს შორის ურთიერთკავშირი არსებობს. ამის საფუძველზე მათ ყველა მაჩვენებელს ერთ ფორმულაში მოუყარეს თავი და ახლა დიაგნოზს 90 პროცენტის სიზუსტით ადგენენ.

„ᲪᲮᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲕᲔᲚᲘ“ ᲐᲑᲔᲑᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚ **მედიკოსთა მიერ შემუშავებული პრეპარატი ხელს უწყობს ორგანიზმში ცხიმის დაწვის პროცესს და სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობას აუმჯობესებს.**

ვირთაგვებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ, ასე ვთქვათ, „სპორტის შემცვლელი“ პრეპარატის, მიღების შემდეგ მღრღნელები უფრო გამძლენი გახდნენ, ცხიმის დაწვის პროცესი კი უფრო აქტიურად მიმდინარეობდა.

„ᲚᲣᲓᲘᲡ ᲦᲘᲞᲘᲡ“ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲦᲘᲞᲐᲘᲜ **ხალხზე ხშირად ამბობენ – ლუდის მუცელი აქვსო. არადა, ეს, ნაწილობრივ, მართალიცაა, თუმცა კი, ცხადია, ყველაფერი მაინც ოდენობაზეა დამოკიდებული.**

ლუდი ალკოჰოლს შეიცავს, რომელიც სისხლში გლუკოზის შემცველობას აქვეითებს, რაც, თავის მხრივ, მადის გახსნას უწყობს ხელს. ამის გარდა, ლუდის კიდევ ერთი მდგენელია ადვილად ასათვისებელი ნახშირბადები, რომლებიც ცხიმად გადაიქცევიან – ტყუილად როდი უწოდებენ მას „თხევად პურს“. ამის გარდა, ლუდს აქვს ძლიერ მოქმედი შარდმდენი თვისება, რაც „კიდევ ერთი კათხის დალევის“ სურვილს აღძრავს. ამდენად, თუკი ზომიერებას არ დავიცავთ, შეიძლება „ლუდის ღიპიც“ დაგვედოს და, გარკვეულწილად, მასზე დამოკიდებულიც გავხდეთ. ჭარბი ლუდის მოხმარება – ისეთივე მავნე ჩვევაა, როგორც თამბაქოს მოწევა ანდა ლუდომანია (ანუ აზარტული თამაშებით გატაცება), რადგან მეცნიერებმა დაამტკიცეს: ორი ყლუპი ლუდიც კი (მასში ალკოჰოლის შემცველობის დონის მიუხედავად), „სულს ქეიფის გაგრძელებას“ „სთხოვოს“...

ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘ, ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ...

ᲘᲛ **განძეულში, რაც კაცმა თავის შემდეგ შეიძლება დატოვოს, ყველაზე ფასეული ესაა საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება.**

იმის თვალნათლივ წარმოსადგენად, თუ რა ფასეულობას წარმოადგენს ეს, საკმარისია თვალი დავხუჭოთ და წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს უკან ჩვენი წინაპრები დგანან: ჯერ მშობლები, მერე – ბებია-ბაბუები, იმათ მიღმა – მათი მშობლები და ა. შ.

ჰოდა, გამოდის, რომ 21 თაობის, ანუ სულ რაღაც 500 წლის შემდეგ, თითოეული ჩვენგანის შთამომავლობა მილიონ 48576 კაცს შეადგენს!

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲔᲓᲐ!..

ᲙᲝᲠᲔᲐᲨᲘ, **ისევე როგორც აზიის უმეტესობა ქვეყანაში, რომელთა კულტურა კონფუცის სწავლების ზეგავლენით ჩამოყალიბდა, უფროსებისადმი პატივისცემა ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი სოციალური ნორმაა. კონფუციანობა იერარქიის პრინციპზეა აგებული, საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი საკვანძო ელემენტი კი კაცის ასაკია.**

ჩოსონში, ანუ „დილის სიგრილის ქვეყანაში“, ეს დოგმა ურყევია: უფროსის, მით უმეტეს ხანდაზმული კაცის, სურვილი უმცროსისთვის კანონია.

ყველაზე მკვეთრად ეს მომენტი ენაშია გამოსახული: უფროსებისადმი მიმართვაში არსებობს საგანგებო ენობრივი ფორმა (რომელიც დაახლოებით ჩენს „თქვენობით“ მიმართვას ჰგავს), რომლის გამოუყენებლობა შეიძლება შეურაცხყოფად იყოს აღქმული. მეტიც: საგანგებოდ უფროსებისთვის მისამართავად ზოგიერთ არსებით სახელსა და ზმნას გამოკვეთილად ზრდილობიანი ფორმაც კი აქვს. ასაკით უფროსისადმი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სახელით მიმართვა. როგორც წესი ამ დროს თანამდებობის ან ნათესაურ კავშირს („პაპას“, „ბებიას“, „უფროს ძმას“, „მამას“, „დეიდას“ და სხვ.) იყენებენ. ამ წესებს უკლებლივ ყველანი მკაცრად იცავენ.

ᲗᲐᲤᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ **თაფლის მრავალი სახეობა – წიწიბურასი, ცაცხვის, წაბლის, პოლიფლორული (რომელიც ბევრი სხვადასხვა ჯიშის მცენარის ყვავილიდანაა მოკრეფილი). მაშ, რომელია მათ შორის საუკეთესო?**

ნათქვამია, გემოვნებაზე არ დავობენო. თაფლის ყველაზე ძვირიანი ჯიშებია **წაბლისა** და **ცაცხვის,** ბევრს ისინი ყველა სხვას ურჩევნია.

მაგრამ, თუკი კონკრეტულ პიროვნებას გარკვეული ჯიში ამოჩემებული არა აქვს, უმჯობესია სხვადასხვა ყვავილებიდან მოკრეფილი თაფლი აირჩიოთ. რაც უფრო მეტ ყვავილს ჩამოუფრენს ფუტკარი, მით უფრო მრავალფეროვანი იქნება მისი შემადგენლობა და მით უფრო მაღალია მისი სამკურნალო თვისებები.

თაფლის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია ჭამის დროს ყელში დამახასიათებელი ხიცინის წარმოშობა, რომელსაც მასში დიდი ოდენობით ინვერტული შაქრის შემცველობა იწვევს, რომელიც საქაროზაზე გაცილებით ტკბილია, რაც თაფლის მომწიფებისა და, ზოგადად, მისი საუცხოო თვისებების ნიშანია.

ცნობილია, რომ გაყიდული თაფლის დაახლოებით 30 პროცენტი ფალსიფიცირებულია. ამიტომაც, **სპეციალისტები გვირჩევენ, რომ პროდუქტი თაფლის ბაზრობებზე ანდა გადამოწმებულ მწარმოებლებთან შევიძინოთ, სადაც კონტროლი უფრო მკაცრია. მაღაზიებში კი მყიდველს ხარისხის სერტიფიკატის მოთხოვნა შეუძლია.**



უცნობი გენერალისიმუსი...

ხელმძღვანელები სტალინის გარემოცვიდან

მადლობა გადამიხადა კეთილი სურვილებისთვის და თქვა, რომ ყოველთვის, როცა ასეთ სიტყვებს ისმენს, თავს ძალიან უხერხულად გრძნობს... როცა ესა თუ ის საქმე მისი გასაკეთებელია, რატომ უნდა გააკეთოს სხვამ მის მაგივრად?! საომარი მდგომარეობა დიდ შრომას მოითხოვს, დასვენებით კი მაშინ დავისვენებ, როცა — გავიმარჯვებთო.

ავუხსენი, რომ არ მინდოდა, „საერთაშორისო სტაროსტას“ რაიმე უხერხულობა შეჰქმნოდა და ვუთხარი:

— ამ ურთულეს დროს თქვენ ძალიან სჭრდებით სამშობლოს, თქვენ ხომ კიდევ ბევრს გააკეთებთ მისთვის!

მიხაილ ივანოვიჩმა გაიღიმა და მეუბნება:

— ამას თქვენ, რა თქმა უნდა, აჭარბებთ, მაგრამ, მართალი გითხრათ, მინდა რაღაც კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი გავაკეთო.

— და გააკეთებთ კიდევაც, — ვთქვი თითქმის ყვირილით, — თქვენ დიდი გამოცდილება გაქვთ, ის თქვენ ცხოვრების ურთულეს გზაზე შეიძინეთ.

— არა, არ არის საჭირო ასეთი სიტყვები. მძიმე და რთული ცხოვრება ყოველთვის როდი ამდიდრებს, როდი ეხმარება ადამიანს სწრაფი და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში... ანდა შეიძლება მძიმე უწოდო ცხოვრებას, თუ მას იმ ბრძოლას სწირავ, რომელიც შენში რევოლუციურ მსოფლმხედველობას ავითარებს... ასეთი ცხოვრება მძიმე არ არის, ეს მდიდარი, შინაარსიანი ცხოვრებაა. შენთვის ის არათუ მძიმეა, არამედ, პირიქით, თვით ყველაზე უმძიმეს მომენტშიც კი გრძნობ, რომ ეს საუკეთესოა...

ხოლო მცირეოდენი პაუზის შემდეგ მეუბნება:

— განა ახლა იოლია ვითარება? საომარი მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში ახლა ისეთი მძიმეა, როგორიც ადრე არასოდეს ყოფილა. ჰიტლერს ჰგონია, საბჭოთა რუსეთის ამბავი დამთავრებულია, ხოლო გებელსს — ომი აღმოსავლეთით მოგებულია, წითელი არმია საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანია. მალე კარგ ამბავს გავიგებთ — ჩვენი მთავრობა არა მხოლოდ ჰიტლერული დამპყრობლების თავდასხმის მოგერიებისთვის ემზადება, არამედ გამანადგურებელი კონტრდარტყმისთვისაც.

— აი, ეს შესანიშნავია! — წამოვიძახე გახარებულმა.

— ახლა კი მომეცით თქვენი ეგ ქაღალდები.

* * *

ნიკოლაი ალექსანდროვიჩ ბულგანინს პირველად 1937 წლის აგვისტოში გ.მ. მალენკოვის კაბინეტში შევხვდი. ბულგანინი მაშინ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. მან ჩემზე იმ პირველი ნახვისთანავე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა... 1938 წლის ივნისში ჩატარებულ არჩევნებში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი გავხდი და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პირველ სესიაზე მთავრობის შემადგენლობაში შევედი, როგორც რსფსრ-ს საგეგმო-საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელად დამტკიცებული იქნა ნ.ა. ბულგანინი. მაშინ მე ოცდათოთხმეტი წლისა ვხდებოდი.

იმ დროიდან დაიწყო ჩვენი ერთად მუშაობა. ყოველი დასვენების დღის შემდეგი დღე ჩემთვის რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან გამოძახებით იწყებოდა. ბულგანინი ბუნებით ინტელიგენტური ადამიანი იყო. საკმაოდ მკაცრად შეგეკითხებოდა, საქმე როგორ მიდიოდა, როგორი მდგომარეობა იყო. შეცდომას თუ დაუშვებდი, რამე თუ შეგეშლებოდა, მხოლოდ მიგითითებდა და საჭირო რჩევასაც მოგცემდა. უბრალოდ და გასაგებად გეტყოდა, რომ საჭირო იყო ახალი მოვლენების მიმართ გულისხმიერების გამოჩენა, რათა რაც შეიძლება უკეთესად და ადვილად გადაჭრილიყო სახალხო კომისარიატების წინაშე მდგარი პირველი რიგის ამოცანები.

შემდეგში, როცა საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გავხდი, მერე კი საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი, ნიკოლაი ალექსანდროვიჩი, როგორც საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს ერთ-ერთი მოადგილე, ხშირად მეძახდა თავისთან მთავრობის მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად. კერძოდ, მისი დავალებით მთელი ერთი თვე მოვწყდი ჩემს ძირითად საქმეს და სახალხო კომისარიატისა და მომარაგება-გასაღების აპარატის შტატების შემცირების საკითხით დავკავდი.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, იგი მოქმედ არმიაში იქნა მივლინებული, როგორც დასავლეთი ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი, ხოლო შემდეგ მთელი რიგი სხვა ფრონტებისაც. ნ.ა. ბულგანინის არყოფნისას მისი კაბინეტი არავის დაუკავებია, ხოლო როცა იშვიათად მოსკოვში ჩამოვიდოდა, დაჯდებოდა თავის კაბინეტში და გააგრძელებდა საქმეს.

ნიკოლოზ ბულგანინი სტალინთან და მაო ძედუნთან ერთად

* * *

1942 წლის **თვრამეტი ივნისის საღამოს, როცა მე ნ.ა. ვოზნესენსკისთან ვიყავი ომის დაწყების პირველ წელს ეკონომიკური შედეგების დასამოწმებლად, დარეკა კრემლის ტელეფონმა. ვოზნესენსკიმ ყურმილი აიღო, მომიტრიალდა და მითხრა, რომ ბულგანინი ითხოვს მასთან კაბინეტში შევიდე. თვითონ ის ერთ საათში ფრონტზე უნდა წავიდესო.**



დასასრული Iხ. № 65-140, 142, 143, 146, 150, 152, 156, 157, 162, 164, 166, 174, 186, 188, 190, 191, 194

სტალინი. პირადი ცხოვრება

ოკეან ჩაღიეკის მოგონებები

ჩაწერილია
გ. ა. კუმანევის მიერ

ვფიქრობ, ჩემი ეს ჩანაწერი ამ შეხვედრის შესახებ მისი დახასიათებისათვის უსათუოდ დაგაინტერესებთ, მით უმეტეს ლაპარაკი ამავე დროს ხრუშჩოვზეც იქნება.

როგორც ყოველთვის, ბულგანინი ახლაც თბილად შეგხვდა, ოღონდ ეტყობა დაავიწყდა ჩემი სახელი და იაკობ ერემეევიჩს მეძახდა. მთხოვა, დავხმარებოდი მის თანაშემწეს — ვ.ი. სავკინს, მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში. თვითონ ბულგანინი ისევ ფრონტზე მიდიოდა.

— ვიყავი ამხანაგ სტალინთან და კინაღამ ერთი მეტად დელიკატური საქმე დამავალა! — მითხრა ნიკოლაი ალექსანდროვიჩმა.

მე, რა თქმა უნდა, ძალიან დავინტერესდი, რა საქმე იყო.

— ეს საქმე ხარკოვის ოპერაციის ჩავარდნის მიზეზების კვლევას ეხება. ვინაიდან ეს ამბავი ნ.ს. ხრუშჩოვთან არის დაკავშირებული, ხოლო იმის გამო, რომ ნიკიტა სერგეევიჩი და მე რაღაც დონეზე ნათესავები ვართ, გავბედე და ამხ.სტალინს ვთხოვე, ეს საქმე ჩემთვის არ დაევალებინა. დიდხანს არ მეთანხმებოდა იოსებ ბესარიონის ძე, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დამთანხმდა. ჩემთან საუბრისას სტალინი ძალიან უარყოფითად მოიხსენიებდა იმ ტრაგიკულ ოპერაციას, რომელიც ხარკოვთან ჩვენი ჯარისკაცების დიდი დანაკარგებით დამთავრდა და რომელმაც დიდი მორალური დარტყმა მიაყენა საბჭოთა ადამიანებს.

ცოტაოდენი პასუხის შემდეგ ბულგანინი კიდევ უფრო გულღიად ალაპარაკდა:

— მძიმე ადამიანია ეს ჩვენი ნიკიტა სერგეევიჩი. მას რომ ჰკითხო, ყველაფერი მეტისმეტად უბრალო და მარტივია, თუ მოისურვებ, შეგიძლია, შეუძლებელი შესაძლებლად გახადო... ასეა თუ ისე, ეს ოპერაცია სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების სამხედრო საბჭოსა და ფრონტის დაჟინებული მოთხოვნით ჩატარდა. როგორც გაირკვა, თავდასხმისთვის ჩვენი ჯარის მზადება მოულოდნელი არ იყო მოწინააღმდეგისათვის და მარტო ამის გამოც არ შეიძლებოდა ის წარმატებით დამთავრებულიყო. აღნიშნული კატასტროფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როგორც ამხ. სტალინი აღნიშნავს, არის მტრის ძალის აშკარა შეუფასებლობა სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების სამხედრო საბჭოს მიერ. ეს შეცდომა კიდევ უფრო გააღრმავა იმან, რომ მიმართულების სამხედრო საბჭომ გამოიჩინა დიდი სიჯიუტე, როცა ასე დაჟინებით ამტკიცებდა საკუთარ სიმართლეს, თუმცა, უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის კრებაზე, რომელსაც ს.კ. ტიმოშენკო და ი.ს. ბაგრამიანი ესწრებოდნენ, გაისმოდა ხმები ხარკოვთან დაკავშირებული რეალური მდგომარეობის ზუსტი შეფასების შესახებ. მაგრამ, შტაბმა რომ ნახა სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების სარდლობის დაჟინებულობა და სიმტკიცე, იძულებული გახდა, დათანხმებოდა მის წინადადებას, რათა მათ განკარგულებაში არსებული ძალებით გაენადგურებინათ მტერი და გაეთავისუფლებინათ ყველა სამრეწველო რაიონი. შტაბი ენდო სარდლობის მოხსენებას, ენდო მარშალ ტიმოშენკოს გამოცდილებას და სამხედრო საბჭოს წევრის — ხრუშჩოვის მტკიცებას... მაშინ როცა ხარკოვთან ძალების თანაფარდობა სწორად რომ ყოფილიყო შეფასებული, შტაბი მიიღებდა ენერგიულ ზომებს, რათა გაეძლიერებინა ჩვენი ჯარის ნაწილები და დაესწრო დარტყმა მტრისათვის. მაშინ აქ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

—ბოლოს ვის მიანდო სტალინმა ის დელიკატური დავალება ხრუშჩოვთან დაკავშირებით?

— ვფიქრობ, ალბათ, არავის. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამხანაგი სტალინი ყოველთვის იცავდა ნიკიტა სერგეევიჩს. ზოგიერთი მისი თანამებრძოლი ხრუშჩოვის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა და, მართალია, ამხანაგი სტალინი ეთანხმებოდა მათ, იმასაც ამბობდა, ხრუშჩოვი სტატისტიკურ მონაცემებში ვერ ერკვევა, არ შეუძლია მისი გაანალიზება, მაგრამ, იმის გამო, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობაში მუშათა წრიდან მხოლოდ ორი ადამიანია — ხრუშჩოვი და ანდრეევი, შეიძლება, ასე თუ ისე, კალინინიც, ამიტომ უნდა შევურიგდეთ ამასო.

ბულგანინი წუთით ჩაფიქრდა და თქვა:

— მე მგონი, ამჯერადაც სწორედ ამ მოსაზრების გამო იკავებდა თავს ამხანაგი სტალინი, ხრუშჩოვის მიმართ მკაცრი ზომების მიღებისგან... ამხანაგ სტალინს შეეძლო, მკაცრად გაეკრიტიკებინა ნებისმიერი ხელმძღვანელი, მაგრამ უნდოდა მიხვედრილიყო ადამიანი თავის შეცდომას და გამოესწორებინა...

ბულგანინმა ღრმად ამოიოხრა, ჩაფიქრდა, საათს დახედა და თქვა:

— უკვე ჩემი წასვლის დროა, ისე რომ, დაეხმარეთ ამხანაგ სავკინს...

მე ერთხელ კიდევ აღუთქვი, ნიკოლაი ალექსანდროვიჩს, რომ რაც შემეძლო, ყველაფერს გავაკეთებდი, რის შემდეგაც გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

◎ ფიფას რეიტინგი

საქართველო 122-ე ადგილზეა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ფიფას რეიტინგში 15 ადგილით ზემოთ აინაცვლა და 122-ე პოზიციაზეა. მართალია, განვლილ ორ შესარჩევ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ, თუმცა რეიტინგი ბოლო ოთხი წლის შედეგების მიხედვით დგება. და კიდევ: უელსთან 1:1-მა სწორედ რომ სასიკეთოდ იმოქმედა, რადგან კელტები მეათე პოზიციაზე იყვნენ რეიტინგში.

უშუალოდ ევროპულ ნაკრებებს შორის საქართველო 11 ქვეყანას უსწრებს, მათ შორის სომხეთსაც, რომელიც 125-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. სომხეთი, ლუქსემბურგი,კვიპროსი, მაკედონია, კოსოვო, მოლდოვა, მალტა, ლიხტენშტაინი, სან მარინო, ანდორა, გიბრალტარი — უეფას წევრი ეს ქვეყნები არიან საქართველოზე ქვემოთ.

რეიტინგში ყველაზე დიდი პროგრესი აქვს მონტენეგროს (პლუს 49 ადგილი), ხოლო ყველაზე დიდი რეგრესი — კვიპროსს (მინუს 52).

1 (1). არგენტინა — 1621, 2 (3). გერმანია — 1465, 3 (2). ბრაზილია — 1410, 4 (2). ბელგია — 1382, 5 (4). კოლუმბია - 1361, 6 (6). ჩილე — 1273, 7 (8). საფრანგეთი - 1271, 8 (7). პორტუგალია — 1231, 9 (9). ურუგვაი — 1175, 10 (11). ესპანეთი — 1168

გიორგი შოთაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

ამისთვის ჩადიოდა?

მას შემდეგ, რაც პეპ გვარდიოლამ „ბარსელონა“ დატოვა, თანამემამულეებთან ყოველი შეხვედრა მისთვის კოშმარად იქცა. შეგახსენებთ, რომ გერმანიაში გადაბარგების შემდეგ კატალონიელის გაწვრთნილი „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგიდან ერთმანეთის მიყოლებით დაიფრინეს „ბარსელონამ“, „რეალმა“ და „ატლეტიკომ“. და აი, მორიგი ვიზიტი მშობლიურ „ნოუ კამპზე“ და კიდევ ერთი კრახი.

„ბარსელონა“ — „სიტი“ 4:0

გოლები: მესი (3), ნეიმარი.

მატჩის საკვანძო მომენტად სტუმართა მეკარის ბრავოს საბედისწერო შეცდომა იქცა, რომელმაც საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და მსაჯს თავი გაიძევებინა.

აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ასევე წითელი ბარათი დაიმსახურა მატიემ, მასპინძლებს კი დაცვის ორი ბურჯის — ალბასა და პიკეს იძულებით შეცვლა მოუხდათ, ხოლო ნეიმარმა პენალტი გააფუჭა.

საერთოდ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის I წრის ფინიშზე გამართულ 8 მატჩში 28 გოლი გავიდა, თანაც ფავორიტებმა ამჯერადაც დაადასტურეს საკუთარი ამბიციების საფუძვლიანობა.

მეორე ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები: *„არსენალი“ — „ლუდოგორეცი“ 6:0, „დინამო“ (კიევი) — „ბენფიკა“ 0:2, „ბაიერნი“ — „ეინდჰოვენი“ 4:1, „სელტიკი“ — „გლადბახი“ 0:2, „პარი სენ-ჟერმენი“ — „ბაზელი“ 3:0, „როსტოვი“ — „ატლეტიკო“ 0:1, „ნაპოლი“ — „ბეშიქთაში“ 2:3.*

ბადრი იაშვილი

◎ ლეგიონერი

„ლეიკერსს“ ისევ აჯობეს

ზაზა ფაჩულიამ „გოლდენ სტეიტის“ შემადგენლობაში მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა. ოკლენდურმა გუნდმა შემდეგი საგამოფენო ბრძოლა ისევ „ლეიკერსთან“ გამართა, რომელიც 5 დღის წინათ 112:107 დაამარცხა. შეხვედრა ნეიტრალურ ტერიტორიაზე, სან დიეგოში გაიმართა და „ვორიორზმა“ ამჯერადაც იმარჯვა — 123:112.

ქართველი ცენტრი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და, საერთოდაც, „გოლდენ სტეიტმა“ 6-ვე საგამოფენო პაექრობა ერთი და იგივე ხუთეულით დაიწყო, რომელიც შემდეგნაირია: სტეფ კარი, კლეი ტომპსონი, კევინ დიურანტი, დრეიმონდ გრინი და ზაზა ფაჩულია.

ფაჩულიამ ახალ გუნდში სარეკორდოდ ბევრი — 22 წუთი ითამაშა და შეხვედრა სროლათა ასპროცენტიანი მაჩვენებლით დაასრულა. ზაზამ 1-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. მოპოვებულ 4 ქულას მან 6 მოხსნა, „გოლდენ სტეიტში“ პირადსარეკორდო 5 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაყოლა, ხოლო ბურთი ერთადერთხელ დაკარგა.

ზაზას ლეიკერსელმა ოპონენტმა ტიმოფეი მოზგოვმა 16 წუთი ითამაშა და 4 ქულა, 2 მოხსნა, 2 დაფარება და 1 პასი მიითვალა. რუსმა 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო. ლოს-ანჯელესელთაგან 21 ქულით საუკეთესო იყო ახალბედა ბრენდონ ინგრამი. რაც შეეხებათ ოქროსშტატელთა ლიდერებს, 32 ქულა ჩააგდო სტეფ კარიმ, ხოლო კევინ დიურანტმა 27 ქულა მიითვალა. ოკლენდელთა მეორე ცენტრმა ჯავალ მაკგიმ 7 წუთი ითამაშა და 4-დან 4 ორქულიანით 8 ქულა დააგროვა.

„გოლდენ სტეიტი“ ბოლო საგამოფენო მატჩს დღეს შინ გამართავს „პორტლენდთან“, ხოლო 25 ოქტომბერს ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის სტარტზე „სან ანტონიოს“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ კარატე

საშემოდგომო მონაბარი

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის (უფროსი ინსტრუქტორი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, V დანის მფლობელი მზეჭაბუკ მახარაძე) ნაკრები გუნდის წევრებმა წარმატებით იასპარეზეს რამდენიმე პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში. განსაკუთრებით ისახელა თავი ირაკლი ხოჭავამ, რაშიც შემოთავაზებული შედეგებიც დაგარწმუნებთ.

ბურსა (თურქეთი). 600 მონაწილე 15 ქვეყნიდან. **ირაკლი ხოჭავა** — ინდივიდუალური კატა. კადეტები. 14-15 წლიანები. „ვერცხლი“. ინდივიდუალური კუმიტე. კადეტები. 14-15 წლიანები. 62 კგ. „ვერცხლი“.

ეილატი (ისრაელი). დავით ზოზიაშვილი. უფროსთა კატეგორია. +18 წელი. ინდივიდუალური კუმიტე. „ოქრო“. ინდივიდუალური კუმიტე. 16-17 წლიანები. აბსოლუტური წონა. „ოქრო“. **ირაკლი ხოჭავა.** ინდივიდუალური კატა. 14-15 წლიანები. „ოქრო“. ინდივიდუალური კუმიტე. 14-15 წლიანები. აბსოლუტური წონა. „ოქრო“.

ბათუმი. საერთაშორისო ჩემპიონატი მსოფლიოს შოტოკან კარატე დოს ფედერაციის ეგიდით (მთავარი მსაჯი ამავე ორგანიზაციის უფროსი ინსტრუქტორი, VIII დანის მფლობელი, იაპონელი ჰიტოში კასუია).

ანდრია კარბაია (თბილისი). ინდივიდუალური კატა. 10-11 წლიანები. „ვერცხლი“.

ნიკოლოზ ყარმაზანაშვილი (თბილისი). ინდივიდუალური კუმიტე. 8-9 წლიანები. „ვერცხლი“.

ირაკლი ხოჭავა (თბილისი). ინდივიდუალური კატა. 14-15 წლიანები. „ვერცხლი“.

ლაზარე კალმახელიძე (ქუთაისი). ინდივიდუალური კუმიტე. 14-15 წლიანები. „ოქრო“.

თამაზ გოჩელაშვილი (ქუთაისი). უფროსთა კატეგორია. +18 წელი, ინდივიდუალური კუმიტე. აბსოლუტური წონა. „ოქრო“.

დავით ბადრიძე (ბათუმი). უფროსთა კატეგორია. +18 წელი. ინდივიდუალური კუმიტე. აბსოლუტური წონა. „ვერცხლი“.

დავით ბინალიევი (ბათუმი). ინდივიდუალური კუმიტე. 16-17 წლიანები. „ვერცხლი“.

ერევანი (სომხეთი). ანდრია კარბაია. ინდივიდუალური კატა. 12-14 წლიანები. „ოქრო“. ინდივიდუალური კატა. 11-12 წლიანები. — 40 კგ. „ვერცხლი“.

ირაკლი ხოჭავა. ინდივიდუალური კატა. 14-15 წლიანები. „ვერცხლი“.

კობა კობახიძე

◎ რეტრო

ტრანზიტი: მოსკოვი - თბილისი

1965 წლის 4 ივლისს მოსკოვში, ლუჟნიკებში 102 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთა საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას. ჩემი წინასწარი ვარაუდით, პელე-გარინჩას ნაკრები 3:0 დაამარცხებდა მასპინძელთა საკმაოდ ძლიერ ნაკრებს, რომლის შემადგენლობაშიც 5 ქართველი — მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა და ანზორ კავაზაშვილი თამაშობდნენ. აღნიშნული შეხვედრის გასაშუქებლად მოსკოვს, როგორც გაზეთ „თბილისის“ სპორტული კორესპონდენტი ვეწვიე. აღნიშნულ ასპარეზობას შვედი მსაჯი ბიორნ ლეევი ემსახურებოდა. ჩემი პროგნოზი საკმაოდ ზუსტი გამოდგა. ბრაზილიელებმა ბრწყინვალედ წარმართეს ასპარეზობა და მართლაც 3:0 მოიგეს მატჩი. 2 ბურთი ფეხბურთის მეფემ პელემ გაიტანა, ხოლო ერთი — ფლავიომ.

ამ საინტერესო შეხვედრას ახლდა თავისი ნიუანსებიც. პელეს მეურვეობა ჩვენმა მწვრთნელმა ნიკოლოზ მოროზოვმა გიორგი სიჭინავას და ვალერი ვორონინს დაავალა. აი, რას იგონებს გაგრელი ნახევარმცველი გიორგი სიჭინავა: „მატჩის მეოთხე წუთზე პელე ჩემსკენ გამოემართა. მე შევძელი ბურთის წართმევა. ერთი წუთის შემდეგ მან კვლავ შემოგვიტია. ამჯერადაც ორთაბრძოლა ჩემი გამარჯვებით დასრულდა. ვალერი ვორონინს შევძახე — ნუ გეშინია, ბიჭო, ეს ვიღაც ზანგი არიფია, რეკლამით გათავხედებული. როგორც ჩანს, პელე ჩვენმა მეურვეობამ გააღიზიანა. ერთ მომენტში ცრუ მოძრაობით ჯერ მე მომატყუა და მერე ვორონინიც გააწბილა. შემდგომში მინდორზე ყველაფერს აკეთებდა, რაც მოესურვებოდა, მაგრამ „გაგრელი საოცრებაც“ არ დარჩენილა ვალში. ხანგრძლივმა ტაშისცემამ აახმაურა ლუჟნიკი, როცა მან ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი პელეს.

ამიტომაც ასპარეზობის შემდეგ გამართულ ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზე ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინ მოეწონა, ბრაზილიელთა ქერათმიან კაპიტანს ჰიდერალდო ლუის ბელინის სტუმარმა ორივე ხელი აღმართა და ექვსიანი გვიჩვენა მან ძლივს ამოღერღა — ჩიჩინავა. თუ თქვენ მას ბრაზილიის №6 მაისურს ჩააცმევთ, ვერ მიხვდებით, ეს შავგვრემანი ბრაზილიელია თუ საბჭოთა ნახევარმცველიო.

როგორც ახლახან გახდა ცნობილი, „შავ მარგალიტს“ განზრახული აქვს დაესწროს საქართველოში დაგეგმილ დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე უნდა გაიმართოს.

შალვა ქირია,

მიხეილ ზარგარიანის ფოტო.

◎ ჩვენი კარაბადინი

საფრთხილო სიცივე

როგორ შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა ზამთრის სუსხიან და ცვალებად ამინდში? ბოლო წლების გამოკვლევებით დადგინდა, რომ ჩვენ ჯეროვნად არ ვაფასებთ ჯანმრთელობაზე სიცივის მავნე ზემოქმედებას. ინგლისელმა მედიკოსებმა გამოითვალეს, რომ ყოველწლიურად გულის სისხლძარღვთა პრობლემების მქონე უამრავი ბრიტანელი სიცივის გამო დროზე ადრე კვდება.

საქმე ის არის, რომ სიცივე სასუნთქი გზებისა და გულის სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა წარმოშობასა და გამძაფრებას იწვევს, ჰიპერტონიულ კრიზებს, ინფარქტებსა და ინსულტებს პროვოცირებს.

რატომაა, რომ სიცივე ესოდენ საშიშია გულის სისხლძარღვთა სისტემისთვის? იმიტომ, რომ ცივი, კონტინენტური კლიმატის ქვეყნებში (მათ შორის, ასევე საქართველოს გარკვეულ ნაწილში), წლის ცივ დროში მატულობს ცხიმიანი და კალორიული საკვების მიღება, რაც უშუალოდ ხელს უწყობს ათეროსკლეროზის განვითარებას. მეორე გარემოება ისაა, რომ ადამიანები ნაკლებს მოძრაობენ, ქუჩაში ნაკლებს დადიან. ჰიპოდინამიაც კი ასევე არის გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა განვითარების რისკ-ფაქტორი. მესამე ფაქტორი კი ის გახლავთ, რომ გასათვალისწინებელია, რომ სიცივეში გული ზედმეტადაა დატვირთული, სისხლძარღვები ვიწროვდება, სისხლი კი სქელდება, რაც, თავის მხრივ, სტენოკარდიას, გულის რითმის დარღვევას (მათ შორის, ასევე წნევის აწევასა და ჰიპერტონიულ კრიზებს) იწვევს. პრობლემებს ასევე ამძაფრებს ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის ცვალებადობა.

ამიტომაცაა, რომ **მათ, ვისაც გულის პრობლემები აქვთ, ხელთ მუდამ უნდა ჰქონდეთ პირველი დახმარების საშუალებები. ესენია კაპტოპრილი ან ნიფედიპინი წნევის შესამცირებლად, ნიტრატები — სტენოკარდიისგან თავის დასაცავად.** მნიშვნელოვანია ასევე თვითკონტროლის ზომების მიღება, კერძოდ, დღეში რამდენჯერმე წნევის გაზომვა. ჰიპერტონიული დაავადება ხშირად ზამთარში წარმოიშვება, ამიტომაც თუკი ტკივილები გაწუხებთ, თავში „ბურუსი“ წარმოგექმნებათ, თვალწინ კი „ქინქლი“ ირევა, აუცილებლად წნევა გაიზომეთ, რადგან ყველაფერი ეს, შესაძლოა, ჰიპერტონიით დაავადების დასაწყისი იყოს.

ცივ ამინდში მნიშვნელოვანია ფეხის ტერფების, ხელებისა და კისრის დაცვა. ეს უკანასკნელი აუცილებელია თავის ტვინის სისხლით ნორმალურად მოსამარაგებლად და ინსულტების პროფილაქტიკისთვის.

სიცივისა და სითბოს მონაცვლეობა ძალიან ცუდად მოქმედებს იმუნიტეტზე, მათ შეუძლიათ აუტოიმუნური ავადმყოფობების პროვოცირება, რომლებიც სახსრებს აზიანებს, ბრონქიალურ ასთმას იწვევს. ამიტომაც საჭიროა იმის ცოდნა, რომ **ხველება ყოველთვის გაციებით არ არის გამოწვეული, ხშირად მისი მიზეზი ალერგიაა. ამიტომაც მისი და ასთმის თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია სახლში მტვრის წინააღმდეგ ბრძოლა — საამისოდ ხშირად გაანიავეთ ოთახები და მტვერი სველი ტილოთი გადაწმინდეთ. ამავე მიზეზით უმჯობესია შინ უფრო თბილად ჩაიცვათ, ვიდრე ბინა ძლიერ დაათბოთ.**

თავის გასათბობად და სითბოს შესანარჩუნებლად კარგია ცხიმების, ოღონდ არა ცხოველურის, არამედ მცენარეულის მოხმარება. იდეალურია სხვადასხვა მცენარეული ზეთის ნაზავები, რომლებიც შეგიძლიათ დაუმატოთ სალათებს, ასევე სასარგებლოა ჩრდილოეთის ზღვის ცხიმიანი თევზი. თევზი და, ზოგადად, ზღვის პროდუქტები კიდევ ფარისებრი ჯირკვლებისთვის მეტად სასარგებლო ჰორმონებით კვებას უზრუნველყოფს, რაც ნივთიერებათა ცვლას აძლიერებს და ბევრ სითბოს გამოყოფს. ცხიმები კი ისეთ ნივთიერებებად იშლება, რომლებიც იმდენად ხშირ კანკალს იწვევს, რომელსაც ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, რა დროსაც ბევრი სითბო გამოიყოფა და ორგანიზმი არ იყინება.

ინფორმაცია თემაში

რატომაა, რომ ზამთარში D ვიტამინი არ გვყოფნის? ამის მიზეზია მოკლე სინათლის დღე; ჰორიზონტზე დაბლა მდგარი მზე.

D ვიტამინის კანში სინთეზის ნაკლებლობა იწვევს: ოსთეოპოროზს (ძვლის ქსოვილის შესუსტებას), რასაც, როგორც წესი, მოტეხილობები და ხერხემლის დაავადებები მოსდევს; შაქრის დიაბეტით, გულის ავადმყოფობებით, ჰიპერტონიით, გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავის სინდრომით, სქელი ნაწლავის მძიმე ავადმყოფობით, ტუბერკულოზითა და გაბნეული სკლეროზით დაავადების დასნეულების საშიშროებებს.

ასევე ზრდის მკერდის კიბოთი, პროსტატის, კუჭქვეშა ჯირკვლის, საყლაპავის, შარდისა და ნაღვლის ბუშტების, სწორი ნაწლავის დაავადებებით დასნეულების საფრთხეს; ამიტომაც D ვიტამინის დეფიციტის შესავსებად ზამთარში მიირთვით კვერცხი (გული), საქონლისა და ვირთევზას ღვიძლი, რომელიც ზრდასრულმა კაცმა დღეში 400, ხანდაზმულმა კი 800 პირობითი ერთეული უნდა მიიღოს.

მოამზადა
დალი ხუნდაძემ

◎ ინტერნეტიდან

ამბავი ესე რადამელისა, განდგომად ოსასგან

კარლა ოსა, მოდელი ესე მკვიდრი მიწისა თრიაქისასაა, ხმობილსა კოლუმბიად, ქალი ლამაზი და მშვენიერი, ქალი კენარი, ვითარცა ალვა და ცქრიალა ვითარცა ნაკადული ლეჩხუმისა, აღარა იხსენიება გულის სწორად მობურთალისა ფალკაოსა რადამელისა, რამეთუ რადამელმან მან განაგდო ჭორი ესე.

დროსა ძველსა და მდგომისა უკან წლისა სამისა, კაცნი დაუღლელნი და მხნენი წოდებული მეგაზეთეებად მიწისა კოლუმბისაად, იძახდნენ და აგვირისტებდნენ სიტყვებსა მრავალსა ოსა კერლასაზედ და არაა იმალვოდა ტრფიალებაი მისი მობურთალისა ფალკაოსა მიმართ.

თუმცა, კაცმან მან რადამელმან, უჟმურმან და გაბრაზებულმან მოკალმეებსად ესე, აღიღო ქვანი, აღაგდო მაღლა, შეუშვირა თავი და მიეცა მტკიცებებსა მრავალსა, რომ არრა ქონია გადაჯაჭვაი ქალთან კარლსა ოსასთან და არცა ქონია სურვილი ამისა. ხოლო თუკი კაცსა არა აქვს სურვილი თანაეყოს შვენიერ კარლასა, არრა ყოფილა კაცი და არაა ხურებია ქუდი თავზედა!

როსტომ რაჭველიშვილი

სანთელი



სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქვეყნის აგროსასურსათო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, დამსახურებული ინჟინერ-მექანიზატორი, უაღრესად მაღალადამიანური თვისებებით შემკობილი, უანგარო და უსაყვარლესი მეგობარი, ერთწლოვანი კულტურების კვლევის დეპარტამენტის აგროტექნიკოსი, ღირსეული ოჯახიშვილი

იოსებ (სოსო) ირაკლის ძე კავსაძე.

ბატონი სოსო, უმაღლესი საინჟინრო განათლების მიღების შემდეგ, წლების მანძილზე მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში კონსტრუქტორად. შემდეგ იგი მოღვაწეობას აგრძელებს საქართველოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“ მთავარი სამმართველოს უფროსად (ამავე დროს იყო რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კოლეგიის წევრი), საიდანაც იგი გადაჰყავთ მცხეთის აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსად, რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. აქედან იგი გადაყვანილ იქნა ყოფილ საკავშირო დაქვემდებარების მცხეთის სამეცნიერო-კვლევით მანქანათა საგამოცდო სადგურის უფროსად, შემდეგ იყო შპს „აგრო-ქართუს“ სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის ხელმძღვანელი, ბოლო პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვეული პროფესიონალობითა და მაღალადამიანური ღირსებით აგრძელებდა მუშაობას ჩვენთან — სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში, რომლის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

მსუბუქი იყოს ბატონი სოსოსთვის მშობლიური ქართული მიწა.

სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის
თანამშრომლების სახელით,
დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე

დააკავეს ნარკორეალიზატორები

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ს.ჰ., 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ვ. 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ზ.ვ. და 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.თ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდნენ. სამართალდამცველებმა ფონიჭალაში, ს.ჰ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 0,568249 გრ ჰეროინი ამოიღეს. ასევე ამოღებულია ბრალდებულების მიერ მოქალაქეებისთვის მიყიდული 24 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, ოთხივე დაკავებულს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

განცხადება

2016 წლის 14 ნოემბერს დღის 11 საათზე გაიმართება სს „საქსაშენმეცნიერება“-ს აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს „საქსაშენმეცნიერება“-ს გენერალური დირექტორის არჩევა.
2. სს „საქსაშენმეცნიერება“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა.
3. სხვადასხვა.

სააღრიცხვო დღე 2016 წლის 1 ოქტომბერი.

მისამართი: ქ. თბილისი, კალე ქუთათელაძის ქ. №8 (ალ. ყაზბეგის ჩიხი 32/34).

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ მხოლოდ მთავარზე...

მადონა კლინტონის მხარდამჭერებს ორალურ სექსს ჰპირდება



ჰილარი კლინტონს ახალი მხარდამჭერი გამოუჩნდა. ამერიკელმა პოპ-ვარსკვლავმა მადონამ ნიუ-იორკში გამართულ კონცერტზე თაყვანისმცემლებს დემოკრატი კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოუწოდა: „ვინც კლინტონს მისცემთ ხმას, კარგად გასიამოვნებთ. ამ საქმეში საკმაოდ კარგი ვარ და გპირდებით, არ ვიჩქარებ.“

ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრა ბერლინში

ბერლინში ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრა დასრულდა. გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და უკრაინის ლიდერებმა უკრაინის აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება განიხილეს და კრიზისის მოგვარების გზებზე იმსჯელეს. მერკელმა, ოლანდმა, პუტინმა და პოროშენკომ შეათანხმეს ე.წ. „საგზაო რუკაც“. შეხვედრის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ შეთანხმების რატიფიცირება ნოემბრის ბოლოს მოხდება. პეტრო პოროშენკოს თქმით, რუსეთმა დონბასში ეუთოს მისიის ყოფნას დაუჭირა მხარი. კომენტარი შეხვედრის დასრულების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმაც გააკეთა. ვლადიმერ პუტინმა ყურადღება მინსკის შეთანხმების პირობების შესრულებაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ უკრაინის აღმოსავლეთში ვითარების დარეგულირებას საფუძვლად სწორედ ეს გეგმა უნდა დაედოს.

ოლანდმა რუსეთს სამხედრო დანაშაულში დასდო ბრალი

ბერლინში ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა და გერმანიის კანცლერმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ფრანსუა ოლანდმა ალეპოში იერიშებს სამხედრო დანაშაული უწოდა და რუსეთის პრეზიდენტს ე.წ. ჰუმანიტარული პაუზის გახანგრძლივებისკენ მოუწოდა. ანგელა მერკელის თქმით კი, მოლაპარაკება პუტინთან საკმაოდ რთული იყო. საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერებმა რუსეთის მიმართ ახალი სანქციების დაწესება არ გამორიცხეს.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკები სამხედრო ბიუჯეტს ზრდიან

ლიტვა, ლატვია და ესტონეთი სამხედრო ხარჯებს ზრდიან. ბალტიის ქვეყნების თავდაცვის უწყებებში განმარტეს, რომ გადაწყვეტილება რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით მიიღეს. სააგენტო როიტერის ინფორმაციით, სამი ქვეყნის სამხედრო ხარჯები 2020 წლისთვის 2 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს, რაც 2004 წლის მაჩვენებელს ორჯერ აღემატება.

კლინტონმა ტრამპს პუტინის მარიონეტი უწოდა

ლას-ვეგასში ამერიკის საპრეზიდენტო კანდიდატთა დებატები გაიმართა. დებატების მესამე რაუნდი ყველაზე მწვავე გამოდგა. ჰილარი კლინტონმა და დონალდ ტრამპმა ერთმანეთს ხელიც კი არ ჩამოართვეს. კანდიდატთა დაპირისპირება შეურაცხყოფაშიც გადაიზარდა. როდესაც მათ რუსეთის საკითხზე დაიწყეს კამათი, კლინტონმა ტრამპს პუტინის მარიონეტი უწოდა, რასაც მილიარდერის რეპლიკა მოჰყვა: „პუტინის მარიონეტი შენ ხარ. მან შენ მოგატყუა და ამიტომ ვერ იტან. მე კი მას არ ვიცნობ, მაგრამ კარგად მომიხსენიებს.“

◎ რას არ გაიგებ!..

ქარბუქი

1947 წელს კანადაში ქარბუქი 30 იანვრიდან 8 თებერვლამდე გრძელდებოდა. ათი დღის განმავლობაში მოსულმა თოვლმა ყველა ქალაქი თოვლით აავსო, ქალაქების ვინიპეგისა და კალგარის შემაერთებელი რკინიგზა კი გაზაფხულამდე ვეღარ ამოქმედდა.

ქარბუქის დროს, ძლიერი თოვის გამო, ხილვადობა ნულამდე ეცემა, ქარი კი საათში 60-70 კილომეტრის სიჩქარით უბერავს.

2001-02 წლების ზამთარში ევროპა, რომ იტყვიან, „თოვლმა წაიღო“. ქარბუქების გამო გერმანიაში გზებზე... 150 კილომეტრის სიგრძის საცობები იყო, ადამიანები თოვლით დაფარულ მანქანებში დღეებს ატარებდნენ.

ამავე დროს, ჩინეთში... ქვიშიანი თოვლი მოვიდა, რომელიც ქვასავით მაგარ ნამქერებად გაიყინა, რომელთა დამსხვრევა შეუძლებელი იყო.

მოდერნის სტილში

მე-19 საუკუნის მიწურულს საფრანგეთში უამრავი ვარიეტე გაჩნდა, სადაც ქალიშვილები სტუმრებს ცეკვებით ართობდნენ. 1893 წლის 11 თებერვალს, პარიზის კაბარე „მულენ რუჟში“ („წითელ წისქვილში“) ერთ-ერთმა მოცეკვავე ქალმა, სახელად გონამ, სტრიპტიზი თვითნებურად მოაწყო, რისთვისაც პოლიციამ იგი 100 ფრანკით დააჯარიმა.

თუმცა კი, ამ დროიდან მოყოლებული, სტრიპტიზის შეჩერება შეუძლებელი გახდა: იმავე წლის ზაფხულში, სამხატვრო სასწავლებლის ტრადიციულ მეჯლისზე, შამპანურით შეზარხოშებული ორი მენატურე ქალიშვილი მაგიდაზე ავიდა და მუსიკის თანხლებით ერთიანად გაშიშვლდა. ისტორიას მათი სახელებიც შემორჩა: მანონ ლავილი და სარა ბრაუნი. ამის გამო პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მეჯლისის ზოგიერთი მონაწილე დიდი თანხებით დააჯარიმეს კიდეც, მაგრამ ყველაფერ ამას სტუდენტთა პროტესტი და ქუჩის არეულობებიც მოყვა, რა დროსაც ერთი კაცი დაიღუპა კიდეც. საბოლოო ანგარიშით, სტუდენტებმა გაიმარჯვეს და სტრიპტიზს ტაბუ მოხსნეს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კი „ვნებიანი გაშიშვლების“ ცეკვას უკვე არა უხამსობად, არამედ ხელოვნებად აღიქვამდნენ. საყოველთაოდ განთქმულები იყვნენ მოცეკვავეები აისედორა დუნკანი (მომავალში დიდი რუსი პოეტის სერგეი ესენინის ცოლი), საერთაშორისო ჯაშუში მატა ჰარი და მომავალში მსოფლიო კინოს ვარსკვლავი მერლინ დიტრიხიც კი!

◎ ანეკდოტები

— რატომაა თქვენი კატა ასე ძალიან ყვითელი? — ეკითხება სტუმარი მასპინძელს.

— არა, ბატონო, გეშლებათ, სინამდვილეში კატა თეთრია, უბრალოდ ჩვენთან ძალიან ბევრს ეწევიან!

* * *

სახალისო ქიმია:

თუკი კოკა-კოლაში ცოტაოდენ რძეს ჩაასხამთ, ის ექვს საათში მავნე მინარევებისგან დაიწმინდება და თქვენ სუფთა ქიმიკატით დატკბობის საშუალება მოგეცემათ.

* * *

საგიჟეთის პაციენტი ბანანს ჭამს.

— შენ რატომ ჭამ გაუფცქვნელად?— ეკითხება ერთი მეორეს.

— გაფცქვნა არა მჭირდება, ისედაც ვიცი, შიგნით რა დევს...

* * *

— **გენაცვალე**, თქვენს ბანკში ანგარიში მინდა გავხსნა, ვის მივმართო?

— ფსიქიატრს!..

* * *

მამა ეუბნება შვილს:

— მიდი ჩემი ბიჭი, ვედრო და ჩვარი აიღე და მანქანა გარეცხე.

— კაი რა, მამა, ვერ ხედავ როგორ წვიმს?!

— ეგ არაფერია, აიღე, აგე, კუთხეში, ჩემი რეზინის ჩექმებია და ისინი ჩაიცვი!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3674; ევრო - 2.6030;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9128;
100 რუბლი - 3.7876; თურქული ლირა - 0.7707;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4752;
1000 სომხური დრამი - 4.9756.

ამინდი 21 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +14
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +19
თბილისი:	ღამე +6,	დღე +13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE